ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 257 (19698) შაბათი, 8 ნოემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გუშინ საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ფეხმარ-ჯვენელი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავი მით აღნიშნეს დიდი ოქტომბრის

მოსკოვი. წითელი მოედანი. 7 ნოემბერი. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ოქტომბერს ვუდარებთ ნაბიჯს

სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

დიდი რევოლუციის 69-ე წლისთავის სადღესასწაულო ატმოსფერო ძალუმად განუმსჭვალავს განახლების, შთანაფეგრისა და საკმეების, დინამიზმის სულისკვეთებას, რომელიც ქვეყანასა და სახოგადოებას მიანიჭეს პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებმა.

კოხტად მორთულა წითელი მოედანი ამ დღესასწაულისათვის. დგება ამაღელვებელი წუთები ზეიმის წინ, რომლებმაც ჩვენი ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი უნდა აღბეჭდონ. ასეა ხოლმე ყოველ დღესასწაულზე. მაგრამ დღევანდელს მაინც რაღაც განუმეორებელი, გამორჩეული ეშხი აქვს. ეს არის განსაკუთრებული განწყობილება, რომელიც მანიფესტანტთა კოლონებში სუფევს. მთელი ჩვენი ცხოვრების შესატყვისი და შესაფერისი — საქმიანი განწყობილება.

დღეს ჩვენთვის განსაკუთრებით ახლობელი და ძვირფასია ლენინის აზრი: დიდი რევოლუციის წლისთავის დღესასწაულის აღნიშვნის საუკეთესო ხერხი ის არის, რომ ყურადღება მივაპყროთ მის გადასაწყვეტ ამოცანებს.

„რევოლუციის ასეთი დღესასწაულის გადახდა, — ხაზგასმით აღნიშნავდა ვლადიმერ ილიას ძე, — განსაკურთებით შესაფერი და აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ძირითადი ამოცანები, რომლებიც რევოლუციას ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, როცა ამ ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა შევითვისოთ რაღაც ახალი (რევოლუციის მიერ დღემდე გაკეთებულის თვალსაზრისით)“.

შევითვისოთ ყოველივე ახალი — აი ის ბერკეტი, რომლის მეშვეობითაც შეუდგა საბჭოთა საზოგადოება ცხოვრების მკვეთრი გარდატეხის მომენტში მასშტაბური სოციალურ-ეკონომიკური განახლების პროგრამის განხორციელებას. „გარდაქმნა ყველასა და თითოეულის საქმეა!“ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებათა ეს სტრიქონი მრავალჯერ მეორდება დედაქალაქის სადღესასწაულო მორთულობაში. ამ სამოსში იგრძნობა ბუნებრივი სისადავე და სიტანფეფ. დღეს მის ღირსებას გამოხატავს არა სახელდახელოდ შეღებილი ფასადები და მთავარი ქუჩების ვიტრინების ელვარება, არამედ გაკოხტავებულ-დასუფთავებული ეზოები და შესახვევები, არა პატაკებისა და ცნობების საქაღალდე კეთილდღეობა, არამედ ბინების საგრძნობლად გაუმჯობესებული ხარისხი და სიმყუდროვე, სავაჭრო დახლების მეტი სიუხვე და ბარაქა.

წითელ მოედანზე ყველაფერი მზად არის სამხედრო პარადისა და დემონსტრაციისათვის. ისტორიული ქვაფენილის ყოველ ცალკეულ ქვას მისი წითელი სამოსელის ათინათი დასთამაშებს. „გ. უ. მ“-ის ფასადზე მოჩანს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პორტრეტი, იქვეა ორი პანო, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ ისტორიისა და თანამედროვეობის გადაძახილს.

1917 — ვეებერთელა წითელი დროშიდან მერმისისაკენ სხივებად გაჭრილა მარად ცოცხალ საოქტომბრო მოწოდებათა სტყვები: „მთელი ხელისუფლება — საბჭოებს!“ „მშვიდობა ხალხებს!“ „მიწა — გლეხებს!“ „ფაბრიკა-ქარხნები — მუშებს!“

1986—XXVII-ციფრიანი ალისფერი დროშა, რომელსაც სადღესასწაულო ლოზუნგების არშია არტყია: „სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება“, „ტემპი, ხარისხი და ორგანიზებულობა“, „მომჭირნეობა და ყაირათიანობა“.

სასტუმრო ტრიბუნები ხალხით არის სავსე. აქ არიან ლენინური პარტიის ვეტერანები, სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის გმირები, შრომის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ,ოსმონავტები. აქვე მოსულან სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

წითელ მოედანზე დიდხანს გრიალებს მქუხარე ტაში — მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები მიესალმებიან „კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს“ ხელმძღვანელებს — მაზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ჰ. ა. ალიევი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვორონტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. ჩებრიკოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. ელცინი, ნ. ვ. ტალონინი, ა. პ. ბირიუკოვი, ა. თ. დობრინინი, მ. ვ. ზიმიანინი, ვ. ა. მედვედევი, ვ. პ. ნიკოლოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, ი. ვ. კაპიტონოვი. აქვე არიან თვალსაჩინო საბჭოთა მხედართმთავრები.

ქვაფენილზე სააღლუმო მწყობრად გარინდულან მოსკოვის გარნიზონის ჯარები. სიო არხევს საბრძოლო დროშებს.

მაცხოვრის კოშკის კურანტებმა 10-ჯერ ჩამოკრეს. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, არმიის გენერალი პ. გ. ლუშევი იბარებს პარადის სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკის ვ. მ. არხიპოვის პატაკს, შემდეგ უვლის ჯარებს და ულოცავს პარადის მონაწილეებს დიდი ოქტომბრის დღესასწაულს. პასუხად გრიალებს სამგზისი „ვაშა!“.

ჯარების ჩამოვლის შემდეგ არმიის გენერალი პ. გ. ლუშევი მაზოლეუმის ტრიბუნაზე ადის და სიტყვას წარმოთქვამს.

ამხანაგ ჰ. გ. ლუშევის სიტყვა

ამხანაგო საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებო!

საბჭოთა კავშირის მშრომელებო!

პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით და დავალებით მოგესალმებით და მოგილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69-ე წლისთავს.

წელს დიდი ოქტომბრის დღესასწაული აღინიშნება ისეთ ვითარებაში, როდესაც ყველგან იგრძნობა საბჭოთა ხალხის დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა, როდესაც პარტია დაძაბულად მუშაობს, რათა ხორცი შეასხას სკკპ XXVII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიული კურსი განსაზღვრა. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარეობს ძირეული გარდაქმნის პროცესი. მუშათა კლასის, გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის გმირული შრომის მეოხებით გარკვეული დადებითი ცვლილებები დაისახა და საგრძნობლად გაუმჯობესდა სიტუაცია ეკონომიკაში. წლის დამდეგიდან სახალხო მეურნეობა უფრო დინამიკურად ვითარდება, საგეგმო დავალებების გადაჭარბებით მუშაობს პრაქტიკულად ყველა დარგი, პოზიტიური ძვრები ხდება აგროსამრეწველო კომპლექსში. აღმავლობის გზაზეა საბჭოთა მეცნიერება, ტექნიკა და კულტურა, განუხრელად მტკიცდება ჩვენი დიდი სამშობლოს იკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება. ყოველივე ეს დასახული გეგმების რეალიზაციის საქმეში ახალ გამარჯვებათა საწინდარია.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს თავიანთ განვითარებაში სოციალიზმის მოძმე ქვეყნებ. ამაც კიდევ უფრო მტკიცე გახდა მათი პოლიტიკური ერთიანობა და ეკონომიკური თანამშრომლობა. საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები აქტიურად ადგანან შეთანხმებულ გეზს მშვიდობისა და სოციალური პროგრესის სასაკეთოდ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თანამიმდევრულად და განუხრელად ახორციელებენ სკკპ XXVII ყრილობაზე შემოქმედებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომელიც გამოირჩევა მასშტაბურობით, სიღრმე რეალიზმით, გაბედული პოლიტიკური აზროვნებით, მშვიდყოფნით — ვეძებოთ ორმხრივ მისაღები გადაწყვეტილები მშვიდობისა და საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების ინტერესებისათვის.

ამის დამაჯერებელი გამოხატულებაა პოზიციები და წინადადებანი, რომლებიც მ. ს. გორბაჩოვმა წამოაყენა საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრაზე. მაგრამ ამერიკის მხარემ არ გამოიჩინა მზადყოფნა გადმოედგა შეიხვედრი ნაბიჯი, და ამის გამო ვერ მოხერხდა დასაბამი მიგვეცა გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის, ბირთვული ომის საფრთხის დაცხრობის რეალური პროცესისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა შეესაბამება მთელი კაცობრიობის ინტერესებს. ამის დასტურია ის, რომ მსოფლიოში ფართოდ უპერენ მხარს რეიკიავიკში წამოყენებულ საბჭოთა ინიციატივებს და ჩვენი ბირთვული ომიდან ამოცდის ცალმხრივ მორატორიუმს.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავს სოციალიზმის დიად მონაპოვრებსა და ინტერესებს, ხალხთა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეს და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა არ დაუშვას ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ცალმხრივი სამხედრო უპირატესობანი. სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი პოტენციალის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების გადიდება, მათი სიფხიზლისა და მუდმივი მზადყოფნის დონის ამაღლება ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყურადღებას არ აკლებენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. ამის მეოხებით საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს დღეს აქვთ ყველაზე თანამედროვე შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა, ჰყავთ კარგად გაწვრთნილი პირადი შემადგენლობა. მომზადებული, პარტიისა და ხალხის საქმის უანგაროდ ერთგული მეთაური და პოლიტიკური კადრები, რომელებსაც შეუძლიათ მეფრად, ვაკაცურად და თავდადებით დაიცვან სოციალისტური სამშობლო.

მომძმე სოციალისტური ქვეყნების არმიების მეომრებთან ერთიან საბრძოლო მწყობრად სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრები კვლავაც საიმედოდ დაიცავენ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან აღმშენებლობითს შრომას, ღირსეულად მოიხდიან თავიანთ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ ვალს.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სამოცდამეცხრე წლისთავს!

გაუმარჯოს ერმი საბჭოთა ხალხს და მის სასიქადულო შეიარაღებულ ძალებს!

დიდება დიდ ოქტომბერს, რომელმაც დაიწყო კაცობრობის ისტორიის ახალი ეპოქა — კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნიზმზე გადასვლის ეპოქა!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

• • •

წითელ მოედანს გრიალით გადაუარა ძალუმმა მრავალხმოვანმა „ვაშამ!“. ეღიტს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. ქუხს საარტილერიო სალუტის ზალპები. იწყება ჯარების 115-ე პარადი.

ტრადიციისამებრ, მოედანზე პირველნი შემოდიან მოსკოვის სახელმწიფო-სამუსიკო სასწავლებლის აღსაზრდელები. დაფდაფების ხმას ერწყმის ათასბოლიანი ნაკრები ორკესტრის ხმები.

მარშზე არიან სამხედრო აკადემიების მსმენელები.

დღეს მათს სააღლუმო ჯგუფულებში მოდიან ოფიცრები, რომელებმაც პირნათლად მოიხადეს თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი აღმოსავლეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მათ შორის არიან საბჭოთა კავშირის გმირი, კაპიტანი ი. პოლოსკონოსი, ტყუპი ძმები, კაპიტნები ვასილ და ევგენი სირომატნიკოვები, რომლებიც დაჯილდოებული არიან „საბრძოლო დამსახურებისათვის“ მედლებით, და მრავალი სხვა.

(დასასრული მე-2 გვ.).

დარბაზობა კრემლის ყრილობათა სასახლეში

7 ნოემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ კრემლის ყრილობათა სასახლეში დარბაზობა გამართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ჰ. ა. ალიევი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვორონტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. ჩებრიკოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. ელცინი, ნ. ვ. ტალონინი, ა. პ. ბირიუკოვა, ა. თ. დობრინინი, მ. ვ. ზიმიანინი; ვ. ა. მედვედევი, ვ. პ. ნიკოლოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, ი. ვ. კაპიტონოვი.

დარბაზში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, უწყებათაშორისო მინისტრთა ხელმძღვანელები, მხედართმთავრები, პარტიისა, ომისა და შრომის ვეტერანები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავები.

დარბაზობას ესწრებოდნენ მთელი რიგი კომუნისტური და მუშათა პარტიების თვალსაჩინო მოღვაწენი, ჩვენს ქვეყანაში ზეიმზე ჩამოსული სხვა საზღვარგარეთელი სტუმრები, საბჭოთა კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, სამღვდელოების წარმომადგენლები, „ცურნალისტები.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო!

მეგობრებო!

პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, იმ მოვლენის 69-ე წლისთავს, რომელმაც დასაბამი მისცა კაცობრიობის განვითარების ახალ ეპოქას.

„რაც უფრო გვშორდება ეს დიადი დღე, — ამბობდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, — მით უფრო ცხადი ხდება რუსეთის პროლეტარული რევოლუციის მნიშვნელობა, მით უფრო ღრმად ვუფიქრდებით აგრეთვე ჩვენ მუშაობის პრაქტიკულ გამოცდილებას, მთლიანად აღებულს“.

გონებითა და გულით ვუბრუნდებით ცხრაას ჩვიდმეტი წლის ოქტომბრის დღეებს, რევოლუციურ შებრძოლთა, სოციალიზმის მშენებლთა და დამცველთა — ისტორიის ჭეშმარიტ შემოქმედთა თაობებს. ვაქებთ და ვადიდებთ მათს ურყევ ერთგულებას ოქტომბრისადმი, მათს შესანიშნავ მიღწევებს, შრომას და საგმირო საქმეებს სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ოქტომბრის მარადიული იდეების ნათელით მოსილნი, ჩვენს უცილობელ მიღწევებს, ჩვენს მომავალს ,რომ აციცკროვნენენ, ჩვენ კვლავ და კვლავ ვადიდებთ ლენინის გენიას, რომელმაც გვიჩვენა ახალი საზოგადოების, იმ საზოგადოების აშენების გზა, რომლის 70 წლისთავსაც აღნიშნავენ ბაისად საბჭოთა ადამიანები, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ნება მიბოძეთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად მოგილოცოთ თქვენ, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს დღესასწაული — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავი! ვუსურვო მუშებსა და გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, სახელოვან ვეტერანებს, ყველა ქალსა და მამაკაცს, საბჭოეთის ახალგაზრდობას, არმიისა და ფლოტის მეომრებს წარმატება ცხოვრებაში, შრომასა და სწავლაში, ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა, ბედნიერება და მშვიდობა.

ამ დღესასწაულს ვეგებებით ჩვენი სახელმწიფოს ისტორიის ერთ-ერთ უაღრესად პასუხსაგებ პერიოდში. ხალხი, პარტია მტკიცედ მიდიან XXVII ყრილობის კურსით, აღსავსენი არიან ენერგიითა და მისწრაფებით ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ საბჭოთა სახელმწიფო კიდევ უფრო განმტკიცდეს და გაძლიერდეს, რომ ჩვენი თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ადამიანებს შეეძლოთ სულ უფრო მეტად მოიხმარონ სოციალიზმის სიკეთე.

ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს ერთი ხელის დაკვრით არ მოხერხდება, თავისთავად არ ხდება, საჭიროა შრომა, დაძაბული და მიზანდასახული შრომა, საყოველთაო გარჯა, ყველა საბჭოთა ადამიანის შრომა.

ჩვენ უნდა სრულვყოთ და კარდინალურად გავაუმჯობესოთ საზოგადოების ცხოვრემედების ყველა სფერო, ვაწარმოოთ შემოქმედებითი ძიება და მივიღოთ გაბედული გადაწყვეტილებანი, განვამტკიცოთ დისციპლინა და ავამაღლოთ პასუხისმგებლობა, ყოველნაირად განვავითაროთ საბჭოთა სახელმწიფოს დემოკრატიზმი.

სწორედ ამ მხრივ წარმართავს თავის მუშაობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელმაც ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე შეიმუშავა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროგრამა.

მას შემდეგ არც ისე დიდი დრო გავიდა, გადადგმულია მხოლოდ პირველი ნაბიჯები. ქვეყანაში, პარტიაში მკვიდრდება საქმიანი, შემოქმედებითი ვითარება, იზრდება ხალხის ნდობა განხორციელებული ღონისძიებისადმი. წინ კიდევ ძალზე ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გვიძევს, დიდი სამუშაო გვაქვს გასაწევი.

ყოველგვარი თავისმოტყუება უბედურებათა თავიდათავია, და ეს კარგად ვიცით. ჩვენ წმიდად ვინახავთ დიად ტრადიციებს, ამასთანავე არ გვავიწყდება და არც უნდა დავივიწყოთ უმნიშვნელოვანესი ლენინური ანდერძი: მეტი ყურადღება დაგუთმოთ გადასაჭრელ პრობლემებს, მოვუკლოთ მაღალფარდოვან ფრაზებს, აღფრთოვანებასა და აღტაცებას.

— მაშ ვიყოთ შეუპოვარნი და მტკიცენი დასახული მიზნების მისაღწევად.

— ნიადაგ გვახსოვდეს — მხოლოდ ცოცხალი საქმით, ინიციატივიანი შრომით, ცხოვრების ყველა, დიდი თუ პატარა საკითხისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომით განისაზღვრება და მოწმდება კომუნისტური დროშის ერთგულება.

და მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენი რევოლუციური წინსვლა მტკიცე და ძლევამოსილი.

ჩვენს ახალ ამოცანებს ვწყვეტთ მომმე სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამ საზეიმო დღეს ჩვენს მეგობრებს აღვუთქვამთ — საბჭოთა ხალხი კვლავაც განამტკიცებს თანამშრომლობას ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხებთან სოციალიზმისა და მშვიდობის ინტერესებისათვის.

ამ საზეიმო დღეს ჩვენ ერთხელ კიდევ ვადასტურებთ ურყევ ერთგულებას მშვიდობის საქმისადმი, კაცობრიობის ბირთვული საფრთხის ლიკვიდაციისადმი. ჩვენ ვადგავართ პატიოსნან, ნათელ, სამართლიან პოზიციას, რომელიც ყველა ხალხთა ინტერესებს ითვალისწინებს. იგი გაზდა მშვიდობის მსოფლიო და მრავალფეროვანი პოტენციალის მძლავრი, განუყოფელი ნაწილი.

ჩვენ გვაზარებს, რომ ყველა კონტინენტზე ამძრავდნენ ძლავრი ძალები მშვიდობისა და პროგრესის დასაცავად, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. ჩვენ ვსოლიდარობთ ამ დიადი ბრძოლის ყველა მონაწილეს და გუთვლით სადღესასწაულო სალამს.

ახლა, რეიკიავიკის შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობაში ახლებური სიტუაცია დამკვიდრდა. ძველმა მოჭამა თავისი დრო. წინსვლის გზა კი გადის მხოლოდ ახლებურ პოლიტიკურ აზროვნებაზე, წინააღმდეგობრივი და ერთიანი მსოფლიოს თანამედროვე მრავალფეროვნების რეალობათა ცაცნობიერებაზე, რომელიც მოითხოვს პატივისცემას ყოველი ერის არჩევანისადმი, მისი უფლებისადმი — იყოს დამოუკიდებელი და ჰქონდეს საკუთარი ხმა შსოფლიო საქმეებში.

სწორედ ამ პოზიციებიდან, ჩვენი XXVII ყრილობის პოზიციებიდან ვმოქმედებთ და ვიმოქმედებთ საერთაშორისო საქმეებში. ომის შიში სამუდამოდ უნდა გაქრეს ჩვენი ცხოვრებიდან, რათა დაითრგუნოს მილიტარიზმის უგუნურება. დიდია ამ საქმეში იმათი პასუხისმგებლობა, ვინც თავისი ხალხების ნდობითა და ძალაუფლებით არის აღჭურვილი.

საბჭოთა ხელმძღვანელობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი და მთელი არსებით იღგენს, რომ ახალი საუკუნის დამდეგს ქვეყნად უბირთვულიარაღო მშვიდობის სუფევა იყოს.

ჩვენი რევოლუციის, ჩვენი სახელმწიფოს დაბადებას სოციალური სამართლიანობის, პროგრესისა და მშვიდობის დიდი იდეები აკისკროვნებდნენ. ამ იდეების სასიკეთოდ ვიღვაწებთ კვლავაც.

ერთხელ კიდევ გილოცავთ დღესასწაულს, ძვირფასო ამხანაგებო, პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო!

დიდება ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს! დიდება გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ქვეყნად მშვიდობას!

• • •

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლას ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

დარბაზობის დროს მ. ს. გორბაჩოვს წარუდგინეს სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობამ გულთბილ, სადღესასწაულო ვითარებაში ჩაიარა.

დარბაზობის მონაწილეებს კონცერტი გაუმაცთეს ხელოვნების ოსტატებმა. (საკდეს).

სადღესასწაულო ნოგათი

საუღელტეხილო ტრასა

დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ გაიხსნა სამუშაო მოძრაობა მარადდა-ახალქალაქის მთელ 160 კილომეტრი სიგრძის რკინიგზის მაგისტრალზე. აღმართ-დაღმართებიან ტრასაზე მთავრდება მთელი ასამოქმედებელი კომბლექსის ბოლო სამუშაოები. ეს არის ელექტრიფიცირებული რკინიგზის ხაზის მოწყობა, ტექნიკური შენობებისა და მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი სახლების მოპირკეთება.

— მკაცრი გეოგრაფიული და კლიმატური პირობების მიუხედავად, მშენებლებმა დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ამიერკავკასიის ტრანსშენის ტრესტის მმართველმა ლ. მეგრელიშვილმა. უკვე მთლიანად გადაიცა საექსპლოატაციოდ 117 კილომეტრი სიგრძის სამგზავრო გზა. დადგმულია საკონტაქტო ქსელის ყველა საყრდენი და მიმდინარეობს მისი დამონტაჟება.

გზის მშენებლობაში თავი გამოიჩინეს ჩვენი რესპუბლიკისა და ქვეყნის სხვა ქალაქების ხუთი გენსაიჯარო და ქვესაიჯარო ორგანიზაციის მშრომელებმა. მათ შორის არიან რ. ქურდაძე, ნ. მჭედლიძე, თ. ცქიფურიშვილი, ა. ოძელაშვილი, მრავალი სხვა. მშენებლებს დიდ დახმარებას უწევენ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, მარნეულის, თეთრი წყაროს რაიონების მოსახლეობა, რომლებზეც გადის ტრასა. მაგისტრალის ჩაბარება გათვალისწინებულია მომავალი წლისათვის, რაც მნიშვნელოვნად დაიჩქარებს მთის ამ რეგიონის ეკონომიკური, სამრეწველო და კულტურული განვითარების პროცესს.

(საკინფორმი).

ოქტომბერს ვუდარეკთ ნაბიჯს

(დასასრული)

...მორიგი კოლონის თავზე ქარი აფრიალებს თეთრ-ცისფერ ალამს, ლენინური კომკავშირის სახელობის წყალქვეშა ნოსსნობის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის ბევრი კურსანტი და ოფიცერი დაბრუნდა შორეული ლაშქრობიდან, სადაც პრაქტიკულად იხვეწნენ ცოდნას. კოლონას მოუძღვის საბჭოთა კავშირის გმირი, კონტრადმირალი ე. ტომკო, რომელსაც ეს საპატიო წოდება მშვიდობიან დროს მიენიჭა.

მტკიცე ნაბიჯით მოდიან წითელ მოედანზე მედისანტე გვარდიელები, მოსკოვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მოსკოვის საბჭოს სახელობის მესაზღვრეთა უმაღლესი სამეთაურო სასწავლებლის კურსანტები, საზღვაო ჯარისკაცები, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის შინაგანი ჯარების დივიზიის მეომრები. მათ მოჰყვებან მოსკოველ და კალინინელ სუვოროველთა, ლენინგრადელ ნახიმოველთა კოლონები.

და როგორც ყოველთვის, ქვეითთა მწყობრის ჩამკიტებად მოდიან მოსკოვის რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის უმაღლესი საერთო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებლის აღსაზრდელები.

მოტორების გუგუნი სულ უფრო ძლიერდება და ლამის დაფაროს ნაკრები ორკესტრის მძლავრი ხმები. მოედანზე შემოვიდნენ მ. ი. კალინინის სახელობის მოტომსროლელი ტამანის დივიზიის საბრძოლო მანქანების კოლონები. ამ დივიზიას საბჭოთა არმიაში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა გვარდიელის საპატიო წოდება. ჯავშანტრანსპორტიორები და ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანები ისეთი უზადო წყობით მოდიან, რომ აქედან, ტრიბუნებიდან ვეჩვენება: ყველა ეს მანქანა უხილავი ძაფებით არისო დაკავშირებული. ასეთივე საუცხოო ოსტატობას გვიჩვენებენ დესანტის საბრძოლო მანქანების მძღოლები. მათ ცვლიან ი. ვ. ანდროპოვის სახელობის გვარდიის სატანკო კანტემიროვკის დივიზიის კოლონები. მეთაურის მოწინავე ტანკი მოჰყავს უმცროს სერჟანტს ევგენი ლოსიევს. სულ ცოტა ხნის წინათ ჯარისკაცს სახმელეთო ჯარების საუკეთესო მექანიკოს-მძღოლის საპატიო წოდება მიენიჭა. საგულისხმოა, რომ მამამისი ვ. ლოსევი წარსულში ასევე ჩინებული მექანიკოს-მძღოლი იყო. შესანიშნავი მემკვიდრეობითობაა!

მარშზეა თანამედროვე საბრძოლო ტექნიკა. მოდიან თვითმავალი საარტილერიო დანადგარები, რეაქტიული არტილერიის საბრძოლო მანქანები — განთქმული „კატიუშების“ შთამომავალნი, საზენიტო-საარტილერიო და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები. საბრძოლო ტექნიკის კოლონას უკან მოჰყვებიან ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ქვეგანაყოფები. ეს მრისხანე იარაღი საიმედოდ ემსახურება ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის საქმეს.

პარადი მთავრდება. მისი დამგვირგვინებელი აკორდია მავზოლეუმის წინ ნაკრები სამხედრო ორკესტრის ჩაკვლა.

გაისმის დაფდაფების ხმა. პარადის სადა ფერებსა და რიტმებს ცვლის ფერთა ცისარტყელა დაბალისანი სმენერის ჰანგები. მოედანზე კიდით კიდემდე ალისფერი ზღვა მოღელავს. სამი ათას ხუთასი ბაირაზარი — ნებაყოფლობითი სპორტული საზღვაოდოებებისა და დოსაააფის წარმომადგენლები მოჰყვებიან ოთხ ილუმინირებულ დანადგარს, რომლებიც დემონსტრაციის პროლოგს ხსნიან. ერთ მათგანზე დგას ჯილდოებით დამშვენებული დედაქალაქის დროშა.

მანქანები ჩერდებიან და დროშას ზღვაც გაირინდა. სპორტსმენებმა ზეადამიანთეს ყვავილები — ათასობით მიზაკი. გაისმის მრავალმოვანი სადიდებელი: „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — დიდებას!“ ამ შეძახილზე მავზოლეუმის საფეხურებზე

სურათებზე: სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე.
საკდეს-საძინფორმის ტელეფოტო.

გვიცოცხლებენ წლევანდელი გაზაფხულის იმ დღეებს, როდესაც მთელი პლანეტის მილიონობით ადამიანის ყურადღება მიპყრობილი იყო სკკპ XXVII ყრილობის მუშაობისადმი. სახვედა რა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირეული დაჩქარების გეგმებს, პარტია ხელმძღვანელობდა მტკიცე რწმენით: ხალხს ცოცხალი შემოქმედება დაჩქარების გადამწყვეტი ძალაა.

და ეს რწმენა დღეს იგრძნობა მუშათა კოლონების სადღესასწაულო მსვლელობაში. „ტრიიობა-გორნაია მანუფაქტურის“ და გაერთიანება „ავტოზილის“ მშრომელები, მეტალურგები, მშენებლები, ენერგეტიკელები, დედაქალაქის მუშათა კლასის სხვა რაზმების წარმომადგენლები დემონსტრაციის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის ათასობით წარმომგზავნილი. ამ განწყობილებას თავისი საფუძველიც აქვს: ლიხაჩოველებმა სადღესასწაულოდ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 1425 ავტომობილი, 3600 სოფლახო მაცივარი, რომლებმაც საიმედო მუშაობითა და ეკონომიურობით საუცხოო სახელი მოიხვეჭეს. წელს აქ გზას დაუღლაკავენ ათითასობით სატვირთო ავტომობილს, რომლებიც ხარისხის ნიშნით არის შეფასებული. ქვეყნის მეურნეობებმა მიიღეს დიზელსძრავიანი ახალი კომფორტაბელური მანქანა — ზილ-4331-ის პირველი ნიმუშებიც. გაისად ქარხანამ უნდა დაიწყოს სერიული გამოშვება ამ პერსპექტიული მოდელისა, რომელიც სამამულო ავტომობილმშენებლობის ისაა მიაჩნია გაერთიანება „კრასნი პროლეტარის“ მთავარ ელექტრიკოსს ვ. პოზნიაკს და განმარტავს:

— რამდენიმე თვეა ჩვენს ერთ-ერთ წარმოებაში მუშაობს სსრ კავშირის სახსტანდარტის არასაუწყიბო კომისია. თავდაპირველად ჩარხების მთელ პარტიებს აბრუნებდნენ საამქროებში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. და თუმცა ახლა შემოწმებული პროდუქციის 90 პროცენტზე მეტი პირველი წარდგენით ბარდება, ხარისხი მაინც არის ჩვენი მთავარი საზრუნავი. 1 იანვრიდან ხომ ასეთი მკაცრი კონტროლი ელის ჩვენ მიერ წარმოებულ მთელ მოწყობილობას.

კონკრეტულობა და გერგილიანობა მოიტანა მანიფესტაციაზე ბევრმა მოსკოველმა. № 1 ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობის ქარხნის კოლონას გამოუტანია ტრანსპარანტი: „ვადაზე და მაღალხარისხოვნად სახელშეკრულებო მიწოდებათა შესრულებას — ჩვენი მუშური გარანტია“.

პასუხისმგებლობა პერიოდისათვის, რომელსაც ახლა ქვეყანა განიცდის, პირადი წვლილისათვის გარდაქმნაში — ასე მესმის ჩვენი ერთგულება ოქტომბრის იდეალებისადმი,—თქვა ჩამომსხმელმდნობელმა ო. ვლასოვმა. და ჩვენც ქარხანაში არ ვჯერდებით მიღწეულს, ნათლად ვხედავთ, რომ რეზერვები ჯერ კიდევ საკმაოდ გვაქვს. ვაპირებთ უკვე გაისად დავამონტაჟოთ პირველი რობოტიზებული კომპლექსები, რომლებიც შემდგომში შესაძლებლობას მოგვცემენ მოვახდინოთ აწყობის მთლიანი ავტომატიზაცია.

მუშაკთა ნაკლები რიცხვით შეასრულოთ სამუშაოთა მეტი მოცულობა — თაოსნობის არსია, რომელიც გამოიჩინეს ბელორუსმა რკინიგზელებმა. მას უკვე მხარი დაუჭირეს თერთმეტი რკინიგზის მშრომელებმა, ახალი წლიდან კი ბელორუსული მეთოდი დაინერგება ქვეყნის ყველა მაგისტრალზე. გარდაქმნის განზე არ გასდგომია მოსკოვის რკინიგზაც.

ჩვენთან რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, ამასთან მომუშავეთა რიცხვის შემცირების პირობებში, — თქვა მოსკოვ-რიაზანის განყოფილების მოსკოვის სახარისხებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოს უფროსმა ვ. ბირიუკოვმა. — მაგრამ უკანასკნელი თვეების მანძილზე ბელორუს კოლეგათა ინიციატივასთან დაკავშირებით მან შეიძინა უფრო მიზანდასახული და დაჩქარებული ხასიათი. რეზერვების გამოვლენა, პროფესიათა შეთავსება, მომსახურების ზონების გაფართოება, სამუშაო დროის შემჭიდროება იმის საწინდარი გახდა, რომ რკინიგზაზე გამოგვეთავისუფლებინა დაახლოებით 30 ათასი კაცი, ჩვენს დეპოში, მაგალითად, სამანევრო თბომავლების 90 პროცენტზე მეტს ახლა ერთი მემანქანე ემსახურება.

წითელი დროშები, ტრანსპარანტები, სიმღერები, ღიმილი... მოდის დემონსტრაცია. და დღევანდელ გუნება-განწყობილებაში თავდაპირველად ვერ თავსდება აზრი... რეგბის შესახებ. მამაკაცისა და ბავშვის პერანგების სპეციალიზებული გაერთიანება „მოსკოვის“ ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელს პ. მირსკაიას ეს აზრი მოსვენებას არ აძლევდა სადღესასწაულო დღესაც:

— ათი თვის მანძილზე გაერთიანების კოლექტივმა, — აღიარა მან, — გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა სამ მილიონ მანეთზე მეტით. აი რატომ გვახარებს მყიდველთა რიგები, რომლებიც სიმფეროპოლის ბულვარზე ჩვენი საფირმო მაღაზიის კართან დგება. გეთანხმებით, რომ ეს გარკვეულად მოუხერხებელია ადამიანებისათვის, მაგრამ ამავე დროს ჩვენი პროდუქციის ხარისხის საუკეთესო შეფასებაც არის. მის გაუმჯობესებაში გვეხმარება პირდაპირი კავშირი სავაჭრო ორგანიზაციებთან. ვცდილობთ გამოვუშვათ მხოლოდ ის, რაზეც მოთხოვნაა. ეს არის მთავარი კრიტერიუმი.

„მსოფლიოს ხალხებო! გავაძლიეროთ ბრძოლა საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის, სახელმწიფოთა კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის!“, „არ დაუშვათ კოსმოსის მილიტარიზაცია!“ — ამ მოწოდებებს, რომლებიც მრავალჯზის მეორდება დღეს მუშათა კოლონებში, ტაშით ხვდებიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები — დღესასწაულის სტუმრები.

— მთელი მსოფლიო აღიარებს იმ ფაქტს, — გვიზიარებს თავის აზრს სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ა. ლეონოვი, — რომ საბჭოთა პოლიტიკურებული პროგრამის მეოთხედი საუკუნის მანძილზე მნიშვნელოვანია კი არ ყოფილა, რომ ჩვენ ოდესმე ვისარგებლებდით ორბიტაზე შეპირაპირების ან მთვარეზე პირველი დაჯდომის, კოსმოსური ტექნიკის სხვა მიღწევების პირველობმომჩენთა უფლებით, რათა სხვა ხალხებისათვის გვეკარნახა საკუთარი ნება კოსმოსური ორბიტებიდან, ხოლო თუ ეს ნება ვუკარნახეთ რეკიკავიკში, იყო მხოლოდ ნება მშვიდობისათვის. უომო და უიარაღო პლანეტისათვის.

ახალი წოდებით — ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის წოდებით შეხვდა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს ანატოლი კრივიზი, ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტის ფიზიკოსი მეცნიერი. სრულიად საკავშირო ალკ უმაღლესი ჯილდო მას მიენიჭა მასალების ზეგამტარობის დიდმნიშვნელოვან კვლევაში მონაწილეობისათვის.

— მიმაჩნია, რომ ფრიად სიმბოლური იყო ამ ჩვენი მუშაობის მიზანი, — თქვა მან. — ერთი მხრივ, საქმე ეხება რეაქტორების შექმნას მშვიდობიანი მიზნით მართული თერმობირთვული რეაქციის განხორციელებისათვის, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მივიღოთ ენერგიით ამოუწურავი წყარო კაცობრიობის შემდგომი პროგრესის საკეთილდღეოდ. მეორე მხრივ კი, ვლინდება დიდი შესაძლებლობანი, რათა სრულყოთ კომპიუტერები, სახალხო მეურნეობისათვის განკუთვნილი სხვა ტექნიკა. ვამაყობ, რომ მე და ჩემი თანატოლების ჯგუფს დაგვევალა ასეთი რთული კვლევა. საერთოდ ნდობა ახალგაზრდებისადმი გარდაქმნის სასიხარულო ნიშანია.

წითელ მოედანზე მოაბიჯებს მოსკოვის ახალგაზრდობა, რომელიც სალუტს აძლევს ოქტომბერს. ემზადებიან რა სრულიად საკავშირო ალკკ XX ყრილობისათვის, ქალიშვილები და ჭაბუკები ცდილობენ მთლიანად გამოავლენონ თავიანთი ენთუზიაზმი, შემოქმედება, უნარი ცხოვრების ყველა სფეროში, ამრავლონ თავიანთი, ახალგაზრდული წვლილი გარდაქმნაში.

„დაე მტკიცდებოდეს სოციალისტური ადამიანების ყველა თაობის რევოლუციური მემკვიდრეობითობა — ოქტომბრის იდეებისა და საქმის უძლეველობის საწინდარი!“ — გაისმის შეძახილი. „პარტიის პოლიტიკას ვიწონებთ!“ — ქუხს მთელ წითელ მოედანზე მრავალხმიანი ექო.

ეგებებიან რა ახლანდელ დღესასწაულს და იწყებენ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის სამოცდამეათე წელს, საბჭოთა ადამიანები ამაყოფილებით ხედავენ, თუ რა გარდაქმნილი ძალა გახდა ისტორიაში ოქტომბრის იდეები. გზის მანათობელ ვარსკვლავად ევლინებიან ისინი ყველა ქვეყნის მშრომელებს, მომავ კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, რომლებიც მიდიან კლასობრივი სოლიდარობისა და თანამშრომლობის განმტკიცების გზით, იბრძვიან მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

რეპორტაჟს წითელი მოედნიდან გადმოსცემდნენ საკდესის სპეციალური კორესპონდენტები პ. ბელიკოვი, ნ. ჟელეზნოვი, მ. ზახარჩუკი, ვ. კულიკოვი, ო. მოსკოვსკი, ფ. ოვჩაროვი, ვ. პეტრუნია.

დღესასწაული დაბიჯებს ქუჩებზე

ბუდაპეშტი. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ არა მარტო უზრუნველყო მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შექმნა, არამედ დასაბამი მისცა კიდეც ახალ ისტორიულ ეპოქას კაცობრიობის განვითარებაში, აღნიშნა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა იშტვან საბომ. იგი გამოვიდა უნგრეთის რადიოთი და ტელევიზიით ოქტომბრის წლისთავის გამო.

ოქტომბრის უმდიდრესი მემკვიდრეობა დღესაც აქტუალურია, თქვა მან. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დოკუმენტი გახდა დეკრეტი ზავის შესახებ. მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლა დღეს ყველა პროგრესული ქვეყნის, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტურ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის გენერალური მიმართულებაა, რომელთა პოზიციები მსოფლიოში მტკიცე და საიმედოა. ამ ბრძოლას დღეს თავისი შედეგები მოაქვს.

ჰავანა. კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის, არმიის გენერლის რაულ კასტროს თავმჯდომარეობით აქ გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავს მიეძღვნა.

სხდომაზე გამოვიდა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სამდივნოს წევრი ხორხე რისკეტი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუბის რევოლუცია შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ მომხდარიყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, და მადლობა გადაიხადა დახმარებისათვის, რომელსაც კუბას უწევს საბჭოთა კავშირი სოციალისტურ მშენებლობაში. ოქტომბრის წლისთავს რომ ვდღესასწაულობთ, განაცხადა დასასრულ ორატორმა, ვამაყობთ საბჭოეთთან ძმობით.

ჰანოი. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქში გამართულ საზეიმო კრებაში მონაწილეობდნენ ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნგუენ ვან ლინი, სხვა ვიეტნამელი ხელმძღვანელები.

დიდმა ოქტომბერმა, აღნიშნეს ორატორებმა, ძირეულად შეცვალა მსოფლიო ისტორიის მთელი მიმდინარეობა. საბჭოთა ხალხის მიღწევები სოციალისტურ მშენებლობაში მკაფიო მაგალითია ყველა ხალხისათვის, რომლებმაც აირჩიეს განვითარების დამოუკიდებელი გზა. საერთაშორისო ასპარეზზე სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეოპოლიტიკურ კურსს მთლიანად იწონებს და მხარს უჭერს მილიონობით კეთილი ნების ადამიანი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავის გამო აქ გაიმართა ვ. ი. ლენინის ძეგლის გვირგვინებით შემკობის საზეიმო ცერემონია.

ულან-ბატორი. მკაფიო და მრავალფერი იყო მონღოლეთის დედაქალაქის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობდნენ აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მომუშავე საბჭოთა მეგზურების კოლექტივები. მასობრივი სვლის მონაწილეებს მიესალმნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟ. ბატმუნხი, მონღოლეთის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

სადღესასწაულო მანიფესტაციები გაიმართა რესპუბლიკის ქალაქებსა და საამაკო ცენტრებში. მათ ცხადყვეს მშრომელთა მონღოლეთური შეკავშირება მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის გარშემო, მათი მისწრაფება მშვიდობისა და განიარაღებისადმი, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ხალხებთან ურღვევი მეგობრობისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეების ერთგულება.

ლუანდა. დიდმა ოქტომბერმა ძირფესვიანად შეცვალა მსოფლიო ისტორიის მიმდინარეობა, გადამწყვეტი როლი შეასრულა ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლების პროცესის დაჩქარებაში, განაცხადა მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა სახელმწიფო და იურიდიული ორგანოების საკითხებში ჟულიაუ მატეუშ პაულუმ. იგი გამოვიდა ლუანდაში გამართულ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე.

ადის-აბება. იდეები დიდი ოქტომბრისა, რომელმაც ახალი ეპოქა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში, მსოფლიოს მშრომელებისათვის კვლავ არის მოქმედების სახელმძღვანელო სოციალური სამართლიანობისათვის, თანასწორობისა და განვითარებისათვის ბრძოლაში, განაცხადა ეთიოპიის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა იუსუფ აჰმედმა. იგი გამოვიდა აქ გამართულ საზეიმო კრებაზე, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავს მიეძღვნა.

ბეირუთი. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებანი კაცობრიობას უსახავენ გზას უომო მსოფლიოსაკენ, ბირთვული საფრთხისაგან თავისუფალი მომავლისაკენ, განაცხადა აქ ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ჟორჟ ჰაუიმ. დიდი ოქტომბრის 69 წლისთავისადმი მიძღვნილ საზოგადოებრიობის კრებაზე მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ რეიგანიის შეხვედრაზე საბჭოთა მხარის მიერ დაკავებული გაბედული, კონსტრუქციული და შეწონასწორებული პოზიცია არაბული ქვეყნების პატრიოტული ძალების, ჩვენი პალესტინის ყველა კეთილი ნების ადამიანის მხარდაჭერით სარგებლობს.

დელი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება გაიმართა ინდოეთის უდიდეს ინდუსტრიულ ქალაქ ბომბეიში. საზოგადოებრიობის წინაშე გამოვიდა მაჰარაშტრის შტატის დაგეგმვისა და მრეწველობის მინისტრი ვიჯაისინგჰ პრაბჰუგაონკარი, რომელმაც აღნიშნა, რომ წლითიწლობით მტკიცდება მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოსა და ინდოეთის მეგობრობა. „მეგობრობა, რომლითაც ჩვენი ქვეყნები არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, განუყრელია“, — განაცხადა ორატორმა.

(საკდესი, 7 ნოემბერი).

ჩვენი სამშობლოს ქალაქებში

ლენინგრადი. სადღესასწაულო დემონსტრაციაზე ალისფერი ანარეკლით შეერწყა დღეს ისტორიული სასახლის მოედნის საზეიმო მორთულობას. იქ, სადაც 1917 წელს ძველი სამყაროს შტურმისათვის დაირაზმნენ წითელგვარდიელთა, ჯარისკაცთა, ბალტიელ მატროსთა რაზმები, მიაბიჯებენ ოქტომბრის მებრძოლთა რევოლუციური დიდების მემკვიდრენი და გამგრძელებლები. როსტრალის სვეტების თასებში ელვარებს ალი, ათობით ჩირაღდანი ჩახჩახებს პეტრე-პავლეს ციხესიმაგრის გრანიტის ბასტიონებსა და კრონვერკებზე.

სასახლის მოედანზე მიაბიჯებს მშრომელი ლენინგრადი. ძალუმად გაისმის პირველი ხუთწლედების ლოზუნგი — „დროვ, წინ!“ ფართო ფრონტით, ენერგიულად და მიზანმიმართულად მიმდინარეობს ქალაქის საწარმოთა რეკონსტრუქცია, ტექნიკური განახლება, გარდაქმნა. სადღესასწაულო მანიფესტაციის პირველ რიგებში არიან გაერთიანებების „სვეტლანას“, „მ. ი. კალინინის სახელობის ქარხნის“ „ელექტროძალის“, ა. ა. ჟდანოვის სახელობის ვემთსაშენებელი ქარხნის, „ლენელექტრომანქანის“ კოლექტივები.

გარდაქმნას დამკვრელური ტემპი მიანიჭეს მანქანათმშენებლებმა. წლის დამდეგიდან ლენინგრადის ინდუსტრიაში დაინერგა შვიდასზე მეტი რობოტი და პროგრამული მართვის ჩარხი, შეიქმნა ათობით ავტომატიზებული დაპროექტების სისტემა.

ტრანსპარანტები, სქემები, დიაგრამები, პანოები ასახავენ როგორ სრულდება პროგრამა „ინტენსიფიკაცია-90: კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული 105 უბანი, საამქრო, წარმოება. სწრაფად ფართოვდება ლაზერული და პლაზმური ტექნიკის, ფხვნილთა მეტალურგიის, სწრაფმოქმედი ელექტრონიკის სფერო. ლენინგრადელები, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, აღწევენ მეცნიერებისა და პრაქტიკის უფრო მჭიდრო შეერთებას, „კვლევა-სერიული გამოშვების“ ციკლის შემცირებას. თავიანთი ნაწარმის საუკეთესო ხარისხი მათ მიაჩნიათ დაჩქარების საკვანძო რგოლად, ამას ემსახურება მრავალცვლიან მუშაობაზე კოლექტივების გადასვლაც.

სასახლის მოედანზე სადღესასწაულო მარშმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ ლენინგრადელები ერთგულობენ რევოლუციის, გაახლებისა და შემოქმედებითი ძიების კურსს, მზად არიან თავდადებული შრომით განამტკიცონ ქვეყნად მშვიდობის ბურჯის — სოციალისტური სამშობლოს ძლიერება.

კიევი. უზარმაზარ ფოტოპანოზე, რომელიც სადღესასწაულო დემონსტრაციაზე გამოიტანეს კიევის № 1 სახლთაშენებელი კომბინატის მშენებლებმა, გამოხატულია უმნიშვნელოვანესი ახალშენებლობანი, რომლებიც კოლექტივმა ამ ბოლო დროს ააშენა. დიდი ოქტომბრის 69 წლისთავის აღსანიშნავად მშენებლებმა წლის დამდეგიდან ვადამდე გადასცეს უკრაინის დედაქალაქის მცხოვრებლებს ოთხი ათასზე მეტი ზეგეგმითი ბინა.

ობიექტების სწრაფად და მაღალხარისხოვნად ჩაბარება კოლექტივის დიდი ხნის ტრადიციაა. მისი მეოთხედი საუკუნის ისტორიისთან განუყრელად არის დაკავშირებული უკრაინის სსრ დამსახურებული მშენებლის, სოციალისტური შრომის გმირის ი. ბუშმას შრომითი ბიოგრაფია, რომელიც სადღესასწაულო კოლონაში მიაბიჯებს. მან, საცხოვრებელი შენობების ნაკადურ-ჩქარისნული დამონტაჟების დანერგვის აქტიურმა მონაწილემ თავის ბრიგადასთან ერთად ააშენა მთელი ქალაქი — ნახევარ მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ბინები.

თეთრი იალქნებივით აფარართული დნეპრზე სახლები ობოლონის, ვოსკრესენსკის ტროეშინის ახალ მასივებში, რომლებსაც ატყვია მისი მარჯვე ხელის სითბო. ხოლო თავისი პირველი სახლი, უფრო სწორად, ტრადიციული უკრაინული ხატა, ივანე ბუშმამ ომისშემდგომ ორმოცდაექვსე წელს დადგა, როცა თხუთმეტი წლის ჭაბუკი იყო. დღემდე დგას იგი მის მშობლიურ სოფელ კოროგოდში, რომელიც ჩერნობილის რაიონშია. მართალია, თანასოფლელები ახლა ახალ დაბაში ოქტიაბრსკოეში გადავიდნენ, რომელიც, ისევე როგორც ბევრი სხვა ყეთილმოწყობილი დასახლებული პუნქტი, ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შემდეგ რამდენიმე დღეში ააშენეს მომძე მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსულმა მშენებლებმა: რუსებმა, უკრაინელებმა, ბელორუსებმა, ქართველებმა...

— როგორც კიევის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, — თქვა ი. ბუშმამ, ხშირად ვხედავ უცხოელებს. ბევრ მათგანს არ სჯერა იმ საშუშაოთა მასშტაბი, ისეთ მოკლე დროში რომ შესრულდა. მაგრამ ეს ფაქტია. ამით მკაფიოდ გამოვლინდა სოციალისტური ფუობილების უპირატესობანი. ამავე დროს ადამიანის კონტროლს დაუქვემდებარებელმა მშვიდობიანმა ატომმა შეგვახსენა, როგორი წარმოუდგენელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს თერმობირთვულ ომს. აი რატომ ეყო, რომ ასეთი მძიელვარებით ველოდით ცნობებს რეიკავიკიდან. მაგრამ, ამერიკის ადმინისტრაციამ, რომელიც უგულებელყოფს მსოფლიოს ბედს, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სასარგებლოდ უარი თქვა კონსტრუქციულ დიალოგზე. ასეთ პირობებში თითოეული ჩვენგანის წმიდათაწმიდა ვალია თავისი შრომით განამტკიცოს სამშობლოს ძლიერება.

მთელ თავის ენერგიასა და მდიდარ გამოცდილებას ვეტერანი ახმარს საყვარელ სამუშაოს. ოთხი ხუთწლეულია ზედიზედ ი. ბუშმას ბრიგადა გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს. მხარი დაუჭირა რა ქვეყნის მოწინავე ის საავტომობილო ქარხნის კოლექტივის ათასობით წარმომგზავნილი. ამ განწყობილებას თავისი საფუძველიც აქვს: ლიხაჩოველებმა სადღესასწაულოდ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 1425 ავტომობილი, 3600 სოფლახო მაცივარი, რომლებმაც საიმედო მუშაობითა და ეკონომიურობით საუცხოო სახელი მოიხვეჭეს. წელს აქ გზას დაუღლაკავენ ათითასობით სატვირთო ავტომობილს, რომლებიც ხარისხის ნიშნით არის შეფასებული. ქვეყნის მეურნეობებმა მიიღეს დიზელსძრავიანი ახალი კომფორტაბელური მანქანა — ზილ-4331-ის პირველი ნიმუშებიც. გაისად ქარხანამ უნდა დაიწყოს სერიული გამოშვება ამ პერსპექტიული მოდელისა, რომელიც სამამულო ავტომობილმშენებლობის

ვაგონების გადმოტვირთვას — შეუფერხებელი რიტმი

ნოემბრის დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში ვაგონების შეუფერხებელი და რიტმული დატვირთვა-გადმოტვირთვის, აგრეთვე რკინიგზის სადგურებიდან ტვირთის დროული გატანისა და ამ თვეში მისი გადაზიდვის გეგმის შესრულების საკითხები განიხილა სელექტორულმა თათბირმა, რომელიც ამერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში გაიმართა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ა. ანჩაბაძემ.

დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა ზუსტი, შეუფერხებელი რიტმის უზრუნველყოფა უნდა გახდეს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, აღინიშნა თათბირზე.

საქართველოს კომპარტიის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებთან, აგრეთვე რკინიგზის სადგურებში უნდა შეიქმნას ვაგონების დროული გადმოტვირთვისა და ტვირთის გატანის სადღეღამისო კონტროლის სამუშაო ჯგუფები. მუდმივმოქმედმა ბრიგადებმა ოპერატიულად უნდა განაზრიციონონ ღონისძიებანი იმ მიზეზების აღმოფხვრისათვის, რომლებიც ამერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშაობის შეფერხებას იწვევს. აღინიშნა, რომ საჭიროა უზრუნველყონ დღეს სასწაულის დღეებში — 7, 8 და 9 ნოემბერს საშუალო სადღეღამისო გეგმით გათვალისწინებული ოდენობით ტვირთის გადატანისათვის ვაგონების დროული მიწოდება და დროულად აცნობონ მიმღებებსა და გამგზავნებს ტვირთის მოტანა და ვაგონების მიწოდება დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ბევრმა საწარმომ, მათ შორის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებმა, ჯერ კიდევ ვერ მოაგვარა კვირის ყველა დღეს, დასვენებისა და სადღესასწაულო დღეების ჩათვლით, ტვირთისა და კონტეინერების მიღებისა და დატვირთვის ორცვლიანი მუშაობა. მაბათს, მაგალითად, კონტეინერების გატანა და შემოტანა მხოლოდ 70 პროცენტით განხორციელდა, კვირა დღეებში კი 25 პროცენტით. ასეთი მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს ამერკავკასიის რკინიგზაზე ბელორუს რკინიგზელთა მუშაობის გამოცდილების დანერგვის ღონისძიებანი.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების კამე გ. გ. გუმბარიძე.

(საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 7 ნოემბერი. რესპუბლიკის მოედანი. ცენტრალურ ტრიბუნაზე.

ო. თურქიას და გ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ოქტომბრის გზით—მუშვიდობის საუკუნისაკენ

სამხედრო პარადი და თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია

დიდება ოქტომბერმა ფრთოსანი სიტყვით „მშვიდობა“ სამყაროს აუწყა ახალი სახელმწიფოს — საბჭოეთის დაბადება. დეკრეტი ზავის შესახებ მისი პირველი მანიფესტი იყო. „მოუშათა და გლეხთა მთავრობა... ყველა მეომარ ხალხსა და მათ მთავრობებს წინადადებით მიმართავს დაიწყონ დაუყოვნებლივი მოლაპარაკება სამართლიანი დემოკრატიული ზავის შესახებ“ — აი დეკრეტის პირველი სტრიქონები. მას შემდეგ მშვიდობა ჩვენი სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი გახდა.

„ზავის საკითხი თანამედროვეობის მწვავე საკითხია“. დიდი ლენინის ეს განსაზღვრება აქტუალურია დღესაც, საბჭოეთის 69 წლისთავის დღეს. ყოველ წელს თვითაი დაბადების დღეს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს ნიშანსვეტებით მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების გზაზე. მიმდინარე წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახდა რეიკიავიკის შედგომი. მათ ბირთვული იარაღის წინააღმდეგ ბრძოლა თვისებრივად ახალ მიჯნაზე აიყვანეს. კაცობრიობა დარწმუნდა, რომ ბირთვული საფრთხის თავიდან აცილება რეალური და შესაძლებელია. 2000 წლისათვის ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროგრამა, რომელიც სკკპ XXVII ყრილობამ განსაზღვრა, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ცენტრალური მიმართულებაა. ოქტომბრის გზით მივდივართ მშვიდობის საუკუნისაკენ. აი რატომ არის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებანი — „ყველა ქვეყნის ხალხებო! მტკიცედ გაილაშქრეთ მომაკვდინებელი იარაღის გადიდების წინააღმდეგ, იბრძოლეთ ბირთვული გამოცდების შეწყვეტისათვის, ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციისათვის! „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების, ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას“! — სამხედრო პარადისა და თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაციის დომინანტი გახდა.

... 1986 წლის 7 ნოემბრის დილა. ლამაზად მოურთავთ თბილისის რესპუბლიკის მოედანი. აქ საბრძოლო დროშებით ჩამწკრივებულან თბილისის გარნიზონისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების ჯარების ქვეგანაყოფები, რომლებიც სამხედრო პარადზე მოვიდნენ. ესენი არიან საუკეთესოთა შორის საუკეთესონი, ისინი, ვინც პირნათლად ჩაბარა ახლახან პასუხსაგები გამოცდა — სასწავლო წლის შემაჯამებელი შემოწმება.

პარადის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე ტრიბუნებზე ადგილებს იკავებენ საპატიო სტუმრები, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მშენებლობების მოწინავეები და ნოვატორები, პარტიისა და შრომის ვეტერანები, დიდი სამამულო ომის მგრიები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ა. ნ. ინაური, გ. დ. მგელაძე, გ. ა. მეტონიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, თ. ი. მოსაშვილი, ნ. რ. საჯაია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სიხარაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჟკორია, ი. ი. ქედიშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ლ. გულევიჩი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი გ. ა. ზგერსკი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ლ. გულევიჩი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი გ. ა. კუცი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. შ. მესხიშვილი.

10 საათზე მოედანზე ღია მანქანით შემოდის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. კოჩეტოვი, რომელიც პარადს იღებს. მან მიიღო პარადის სარდლის — ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ ა. მ. მაკაშოვის პატაკი და მასთან ერთად „შემხვედრი მარშის“ მელოდიის ხმებში ჩამოუარა ჯარებს, მიუღოცა მათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავი. პასუხად ქუხს ერთსულოვანი „ვაშა“!

გენერალ-პოლკოვნიკი კ. ა. კოჩეტოვი ადის ტრიბუნაზე და წარმოთქვამს სიტყვას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის სახელით იგი მიესალმება და ულოცავს ამიერკავკასიელ მეომრებს, საბჭოთა საქართველოსა და მისი დედაქალაქის მშრომელებს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავს.

— დიდი ოქტომბრით შობილმა საბჭოეთმა განვლო დიდი და სახელოვანი გზა, — თქვა ამხ. კოჩეტოვმა. — საბჭოთა ადამიანების ყველა თაობის გარჯითა და ნიჭით შეიქმნა საზოგადოება, რომელიც განასახიერებს ადამიანთა ცივილიზაციის უმაღლეს მიღწევას, სოციალური რწმენის, სამართლიანობისა და ნამდვილი სახალხო ხელისუფლების საზოგადოება.

ყველაფერში, რასაც მივაღწიეთ, განუზომლად დიდია ლენინური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის როლი. თანამიმდევრულად გამოხატავს რა მუშათა კლასის, ყველა შრომელის ინტერესებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გულდაჯერებით მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნისტური აღმშენებლობისა და მშვიდობის კურსით.

ქვეყნის მთავარ დღესასწაულა საბჭოთა ადამიანები ხვდებიან რევოლუციური გარდაქმნის მარშზე. პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უფრო სრულად იწყებს მოქმედებას პარტიის XXVII ყრილობის მიერ განსაზღვრული ზრდის გრძელვადიანი სტრატეგიული ფაქტორები — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ინტენსიფიკაცია, წარმოების სტრუქტურის სრულყოფა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში ახალ მიჯნებს მიაღწიეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა დარგში ნუთგზის ორდენოსანი საქართველოსა და მისი დედაქალაქის — ლენინის ორდენოსანი ქალაქ თბილისის მშრომელებმა. რესპუბლიკის ეკონომიკაში სულ უფრო მეტად ვლინდება დადებითი ტენდენციები. სამრეწველო პროდუქციის მატების ტემპი აღემატება საერთო-საკავშიროს. გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით მეტია შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტები. მაგრამ მიღწეული ჯერჯერობით ვერ გვაკმაყოფილებს. ველის დიდი დაძაბული მუშობა ცხოვრების ყველა სფეროში შემდგომი დაჩქარების უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა ხალხი აღმშენებლობითს საქმიანობას ეწევა რთული საერთაშორისო ვითარების პირობებში. რეაქციისა და მილიტარიზმის ძალების ამერიკის იმპერიალიზმის მეთაურობით, რომლებსაც არ სურთ ხელი აიღონ ძველ აზროვნებაზე, იმედოვნებენ, რომ ქანცს გაიცლიან საბჭოთა კავშირს ეკონომიკურად, დაასუსტებენ პოლიტიკურად.

თავისი კონსტრუქციული წინადადებებით, ახალი სამშვიდობო ინიციატივებით, მათ შორის ცალმხრივი წესით დიდი ღონისძიებების განხორციელებით, საბჭოთა კავშირი ცხადყოფს მშვიდობისადმი გულწრფელ მისწრაფებას. საბჭოთა ხალხი და მისი მეომრები მხურვალედ უჭერენ მხარს ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მიერ რეიკიავიკის შეხვედრაზე დაკავებულ პოზიციას, რომელშიც შეხამებულია პრინციპების სიმტკიცე და საჭირო კომპრომისები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებში ბალანსს ქმნიან. ეს არის სკკპ XXVII ყრილობის მიერ მიღებული გეზის ცოცხალი განსახიერება, რომლის მიზანია კაცობრიობას თავიდან აიცილოს ბირთვული საფრთხე.

ახლა, როცა იმპერიალისტები უარყოფენ ჩვენს მშვიდობისმოყვარულ წინადადებებს, აძლიერებენ საომარ მზადებას, კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო წმინდად ასრულებენ ლენინის ანდერძს სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ, შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. სამშობლოს მეიარაღებელი დამცველები, პარტიის, თავისი ხალხის უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდილი ამიერკავკასიელი მეომრები, რომლებიც რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციების ერთგული არიან, სამეფოდ დგანან საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის, სოციალიზმის ისტორიული მონაპოვრების სადარაჯოზე. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა არმიებთან ერთიან მწყობრში საბჭოთა შეიარაღებული ძალები მუდამ მზად არიან საკადრისი პასუხი გასცენ ყოველ აგრესორს.

თავისი სიტყვის დასასრულს გენერალ-პოლკოვნიკმა კ. ა. კოჩეტოვმა წარმოთქვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავის სადიდებელი სიტყვები, გამარჯვება უსურვა სსრ კავშირის მამაც შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას.

მოედნის კიდით კიდემდე გაისმის სამგზისი „ვაშა“. იგი ერწყმის საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების დიდებულ მელოდიებს. ქუხს საარტილერიო სალუტის ზალპები.

გაისმის ბრძანება:

— პარადო, სმენა! საზეიმო მარშისათვის...

ტრადიციისამებრ სამხედრო პარადს ხსნის თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი, წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი მეთაურთა უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის კურსანტ მედოლეთა ასეული. ასეულის უმრავლესობას შეადგენენ იმ ბატარეის წარმომადგენლები, რომელშიც სამუდამოდ არის ჩარიცხული საბჭოთა კავშირის გმირი, ლეიტენანტი ს. ოგანოვი. მათ შორის — უფროსი სერჟანტი ლ. ერმოლოვიჩი და სერჟანტი გ. სურმანიძე, რომლებიც პარადის წინ სკკპ წევრობის კანდიდატები გახდნენ, სწავლის წარჩინებული უმცროსი სერჟანტი ს. კორილოვიი.

რესპუბლიკის მოედანზე შემოდის ოფიცერთა ნაკრები ჯგუფეული. მას მეთაურობს მესამე ხარისხის „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის“ ორდენის კავალერი, პოლკოვნიკი უ. შერმაზანაშვილი. მის საარმიო ბიოგრაფიაში ორ ათეულზე მეტი სამხედრო პარადია. ოლქის შტაბისა და სამმართველოს ოფიცერთა მწყობრში 16 კაცია, რომლებიც დაჯილდოვდნენ ორდენებითა და მედლებით მხედრული მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის.

მოდიან სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლები, რომლებმაც სახელი გაითქვეს დიდი სამამულო ომის წლებში. ახლაც ზოგიერთი ავიატორის მკერდზე კიაფობს საბრძოლო ჯილდოები. ასე აღინიშნა მათი ვაჟკაცობა და გმირობა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ინტერნაციონალური დახმარების გაწევის დროს.

ტრიბუნები ოვაციებით ხვდებიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი უძველესი — თბილისის უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის კურსანტთა მწკრივებს. ბეგრმა მისმა აღზრდილმა უკვდავყო თავისი სახელი დიდი სამამულო ომის ველზე. 44 მათგანი საბჭოთა კავშირის გმირი გახდა. საპარადო ჯგუფეულში არიან ისინი, ვინც კვლავაც ამრავლებს მშობლიური სასწავლებლის დიდებას, ახალგაზრდა კომუნისტი, ლენინური სტიპენდიატი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა 1986 წლის რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატი კ. გაჩეჩილაძე, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატი, კურსანტი ს. იანკოვსკი, სწავლის წარჩინებულები, უმცროსი სერჟანტები ვ. ძნელაძე, ა. გლადსკი და სხვები.

პარადში მონაწილეობენ თბილისში ჩამოსული ვენის წითელდროშოვანი სუვოროვის ორდენოსანი გვარდიული სასწავლო მოტომსროლელი პოლკის მეომრები. ახლახან მათ ზეიმით აღინიშნეს საბჭოთა გვარდიის 45 წლისთავი.

მტკიცე ნაბიჯით მოდიან ბარტელერისტი მეომრები. საპარადო ჯგუფეულის მარჯვენა ფლანგზე არიან გამარჯვებულნი შეჯიბრებისა, რომელიც მიმდინარეობს დევიზით „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს შეეგასრულებთ, სიამეოდ დავიცვათ სოციალიზმის მონაპოვრებს!“.

მოედანზე შემოდიან მეკავშირე მეომრები. დიდი სამამულო ომის წლებში იშვა ფრონტელი ცნება „კავშირგაბმულობა ბრძოლის ნერვია“. და ახლაც ამ გვარეობის ჯარების წარმომადგენლები თანამოსასახურე ამხანაგების სიამოდო მეკავშირენი არიან.

მარშზე არიან საქართველოს დედაქალაქში ჩამოსული მედესანტე მეომრები. თითოეულის ანგარიშზეა მრავალი ათეული ნახტომი, დაძაბული სასწავლო ორთაბრძოლები.

მაყურებლები ტაშით ხვდებიან მწვანეფეულიან მეომრებს. მწყობრში მოდიან შთამომავლობთ მესაზღვრენი, რიგითი ჯარისკაცები ვ. დმუხოვსკი და ო. დმიტრიევი, „სასაზღვრო ჯარების წარჩინებული“ ნიშნების კავალრები, სერჟანტი ო. მაკარჩევი და რიგითი ჯარისკაცი პ. ჭეფლიშვილი.

მოედანზე გაისმის ძრავების მძლავრი გუგუნი. იწყება საბრძოლო ტექნიკის სვლა.

— კარგი იქნება, რომ 2000 წლისათვის მთელ მსოფლიოში ჩვენი თანატოლები მხოლოდ ტრაქტორების, კომბაინების, ბულდოზერების, სხვა მშვიდობიანი ტექნიკის სახეობას მართავდნენ,— თქვა „კავკასია-85“ წვრთნის მონაწილემ, მეორე კლასის სპეციალისტმა, მექანიკოს-მძღოლმა, რიგითმა ვ. ოპანასენკომ, — სწორედ იმისათვის, რომ მოვაახლოოთ ასეთი დრო, ვიწევთ დღეს სამსახურს. ლულიან არტილერიას ცვლიან რეაქტიული დანადგარები. 45 წლის წინათ, ორშასთან გამართულ ბრძოლებში იშვა მათი წინამორბედების — მრისხანე „კატიუშების“ დიდება და მას შემდეგ ეს დიდება, როგორც თვით რეაქტიული დანადგარების საცეცხლე ძლიერება, მრავლდება. მრისხანე რაკეტები მშვიდობიანი ზეცის სამიდო გუშაგები არიან.

სვლა დაამთავრა ნაკრებმა ორკესტრმა, რომელმაც ტრიბუნას ჩაუარა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 69 წლისთავისადმი მიძღვნილმა სამხედრო პარადმა დამაჯერებლად ცხადყო ამიერკავკასიის მეომართა დიდი საბრძოლო პოტენციალი, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი მათი უსაზღვრო ერთგულება, სოციალისტური სამშობლოს სამხრეთის მიჯნების დაცვისათვის მუდმივი მზადყოფნა.

რესპუბლიკის მოედანი გიგანტურ ეკრანს მოგაგონებთ, რომელზეც ერთმანეთს ცვლიან ოქტომბრის დღესასწაულის ახალი სურათები. ისმის საზეიმო უვერტიურა და მის ფონზე სამხედრო პარადის სადა ფერები იცვლება ხასხასა ფერებით, რომლებმაც თითქოს მზის სპექტრის ყველა ელფერი შეიწოვეს. იწყება საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია. შემოდგომის ნიავი არხევს ალისფერ ალმებსა და ტრანსპარანტებს.

შრომით განამტკიცებდნენ მშვიდობის საქმეს — ასე ესმით თბილისელ მშრომელებს თავიანთი მთავარი ამოცანა ახლანდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში. დედაქალაქის შრომითი კოლექტივები უპატაკებენ სამშობლოს, რომ თბილისელებმა ათი თვის გეგმა პირნათლად შეასრულეს. გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს ათმილიონობით მანეთის პროდუქცია და იმათ შორის, ვინც დღეს დემონსტრაციაზე გამოვიდა, ორ მესამედზე მეტს შეჯიბრების მეწინავენი შეადგენენ.

ტრადიციისამებრ სადღესასწაულო დემონსტრაციას ხსნის ამ რაიონის მშრომელთა კოლონა, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს დამაარსებლის — დიდი ლენინის სახელს ატარებს. მოამბჯენენ ჩარხმშენებლები და მკერავები, რკინიგზელები და ავტომექანიკოსები, ელექტრომშენებლები და კვების მრეწველობის მუშაკები...

მძლავრი „ვლ-15“ თორმეტღერძიანი ელმავალი დღეს რაიონის სიმბოლო, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ახალი სიტყვაა. აი მისი დამმონტაჟებლები: დავით ხიმშიაშვილი, კახი ფეიქრიშვილი, სანა ცინცაძე, დავით სართანია, დავით ნადირაძე და სხვები. ისინი ყველა გურამ არჩილის ძე მეტონიძის ბრიგადის წევრები არიან, რომლის სიპატიო წოდებათა ნუსხა მთელ ფურცელს დაიკავებდა. იგი — ყრილობის დელეგატი, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე — დღესასწაულის წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად აირჩიეს. მუშაკაცს ასეთ პატივს მიაგებენ მხოლოდ საბჭოეთში. დღეს იგი მთავრობის მაღალი ტრიბუნადან მიესალმება თავის მეგობრებს, ამხანაგებს, კოლეგებს.

რესპუბლიკის მოედანზეა წითელი ალამი საოქტომბრო მოწოდებით „საბჭოთა მშენებლებო! ნარისხოვნად და ვადაზე ააშენეთ საწარმოო და სოციალური სფეროების ობიექტები! „ყველადღეთ სამშენებლო კომპლექსის ეფექტიანობა!“. იგი სამართლიანად მოაქვთ გლდანის რაიონის მშრომელებს. ათი ათას ახალმოსახლეობას იზეიმებს წელს გლდანელის საცხოვრებელი მიკრორაიონი. რაღაც ნახევარი წლის განმავლობაში უდაბურ ადგილას აშენდა მთელი ქალაქი: თექვსმეტი მრავალსართულიანი კორპუსი. პირველად რესპუბლიკის დედაქალაქში შენდება მიკრორაიონი, სადაც ყველა ობიექტი ერთდროულად ბარდება: საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღი და სკოლა, ფოსტა და ტელეგრაფი, სავაჭრო ცენტრი და სპორტული მოედანი. დღეს გლდანის მუშური პორტრეტი მშენებელია.

სადღესასწაულო კოლონების თავზე მოცურავს ტრანსპარანტი: „საბჭოთა კულტურის მოღვაწენო! შექმენით სოციალისტური ეპოქის ღირსი ნაწარმოებები!“ მოედანზე შემოდიან პოეტები და პროზაიკოსები, მხატვრები და კომპოზიტორები. ასრულებენ რა დროის სოციალურ შეკვეთას, მათ ოქტომბრისათვის მოამზადეს ახალი წიგნები, სიმღერები, ტილოები. ამ ქმნილებებში განასახიერეს ბამისა და ენგურჰესის, მთის სოფლების აღორძინებისა და რესპუბლიკის პლანტაციებში ალოობის დამკვრელური რიტმები. ოქტომბრის მარშზე არიან პირველი მაისის რაიონის მშრომელები. აი მისი ერთ-ერთი მოწინავე რაზმი — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კოლექტივი. ამ დღეებში თბილისელები შეუნელებელი ინტერესით უყურებენ სსრ კავშირის სახალხო არტისტის თენგიზ აბულაძის ახალ ნაწარმოებს „მონანიებას“. ყველა დროში სიკეთისა და ბოროტების საკითხები მხატვრული შემოქმედების თემაა. აბულაძის ფილმში გამოვლენილია განუკითხობისა და თავნებობის მანკიერება. ავტორს ეს პრობლემა მაღალი ფილოსოფიური განზოგადების დონეზე აჰყავს — ვერავითარი მიზანი ვერ გამართლებს დანაშაულს. აბულაძის ფილმიც მშვიდობის საქმეში შეტანილი წვლილია. რეჟისორს მიაჩნია, რომ მისი შემოქმედება ეხება პრობლემებს, რომლებიც აღელვებს მთელ კაცობრიობას. სიკეთის, ჰუმანიზმის, მშვიდობისათვის მოწოდება საბჭოთა კინემატოგრაფის გამოჩენილი ოსტატის ნამუშევართა მთავარი ღირსებაა.

მშვიდობისათვის ბრძოლა საბჭოეთის არსებობის პირველი დღეებიდანვე სახელმწიფო პოლიტიკა გახდა. მისი განმტკიცება მხოლოდ დამკვრელური შრომით შეიძლება. ეს კარგად იციან ოქტომბრის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც სადღესასწაულო დემონსტრაციაზე გამოვიდნენ ჩაჩქანებით, რომლებზეც წარწერილია ასო „მ“, ეს ნიშნავს „მშვიდობას“, — ამბობენ მეტრომშენებლები. ჩვენ გვჯერა მათი, რადგან ღიმშენებლობა შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიანობის დროს, თბილისის მეტრომ დიდი ხანია შეაბიჯა გლდანის სივრცეებში. პირველი სადგურია „ავჭალის გზატაეცილი“. ეს არის რთული ნაგებობა გადასარბენი გვირაბებით. მაგრამ, როგორც იტყვიან, კაცს საქმენი მისნი გამოაჩენენ. აი მეტრომშენებელთა სახელოვანი არმიის საუკეთესო წარმომადგენელი — ელდარ ცუცქირიძე. დამბარე მუშიდან შახტის უფროსამდე გზა გაიარა მან. ტიპური გზა. ელდარის ბედი დიდი ოქტომბრის გამონაშუქი სხივია. სოფლელმა ბიჭმა უმაღლესი განათლება მიიღო, შრომით მოიპოვა ავტორიტეტი და წარმოების მეთაური გახდა. 7 ნოემბრისათვის მისმა შახტამ წლიური დავალება შეასრულა. შახტი ტექნიკურ პროგრესთანაც მეგობრობს. სულ ახლახან დაიწყეს აქ დიურალუმინის ტენდამცავი ქოლგების დადგმა.

მაგრამ იმისათვის, რომ წარმატებით დაინერგოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საჭიროა მეცნიერებამ ფეხი აუწყოს ცხოვრებას. შემთხვევითი როდია, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მატერიალური წარმოების სფეროსთან მეცნიერების ინტეგრაციის გაძლიერებას. რესპუბლიკის მეცნიერები მონაწილეობენ 25 საკავშირო და 27 რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის რეალიზაციაში. ამ დღეებში საქართველოს აკადემიას სათავეში ჩაუდგა ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ალბერტ ნიკიფორეს ძე თავხელიძე, რომელმაც ფუძემდებელი წვლილი შეიტანა ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკასა და ველის კვანტურ თეორიაში.

დიდი ოქტომბერი თანაბრად ასაზღვლია მუშისა და მეცნიერის ბედში. მან ფართო ასპარეზი მისცა ნიჭის გამოვლენას, შექმნა იმის უფართოესი შესაძლებლობანი, რომ თითოეულს ზრუნვა და ყურადღება არ აკლდეს. ქვეყნის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში აღიზარდა მეცნიერების დიდ ორგანიზატორად ა. თავხელიძე. დღეს აკადემიური მეცნიერება მთელ თავის ყურადღებას მიაპყრობს ფუნდამენტურ გამოკვლევებს, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ზუსტ და დასაუთებულ პროგნოზს გვაძლევენ პერსპექტივისათვის. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც ორი: ეს არის გამოკვლევები, რომლებიც დაკავშირებულია კავკასიონის საუღელტეხილო გზის დაპროექტებასთან, და რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების განვითარების გრძელვადიანი პროგნოზები. კალინინის რაიონი, სადაც თავმოყრილია რესპუბლიკის მეცნიერული აზრის ცენტრი, ღირსეულად უპატაკებს დღესასწაულს.

თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების „კრწანისის“ მოტორისტი მკერავი ნინო პანკოვა თავის მოწოფეებთან ერთად მოვიდა სადღესასწაულო დემონსტრაციაზე. ოცდაათი წლის მუშობის მანძილზე მან ასზე მეტი ჩინებული წარმოების მუშაკი აღზარდა, რომლებიც უკვე თავად გახდნენ წარმოების მეთაურები, ახალგაზრდობის დამრიგებლები. დღეს ისინი კიროვის რაიონის მშრომელთა მთელ კოლონას შეადგენენ.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. პანკოვა კარგ გუნებაზეა. ამ დღეებში იგი ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალური მეგობრობის ამსახველი ტრანსპარანტებითა და ლოზუნგებით გამოვიდნენ დემონსტრაციაზე 26 კომისრის რაიონის მშრომელები. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ავანგარდშია სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ კოლექტივი, რომელიც წარმატებით მონაწილეობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მეცნიერული პროგრამების განხორციელებაში.

აი მოედანზე შემოდიან რესპუბლიკის საქარხნო რაიონის მშრომელები. დემონსტრანტთა შორის არიან საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ დურგალი ლ. სეთური, მისი კოლეგა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ე. გელაშვილი. ჩინებული პატაკი მოამზადა მათმა კოლექტივმა ოქტომბრის დღესასწაულისათვის. ქაბინეტის, საძინებელი ოთახის, სამზარეულოს ზეგეგმითი ავეჯის კომპლექტები თბილისელთა დიდი მოწონებით სარგებლობს. კოლექტივმა ამ დღეებში აღნიშნა თავისი ოცდაათი წლისთავი.

განსაკუთრებით ბევრი ტრანსპარანტი, ალისფერი დროშები მოაქვს ორჯონიკიძის რაიონის ახალგაზრდობას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათასზე მეტი სტუდენტი კომუნისტია. ამ დღეებში პარტიაში მიიღეს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, ცხონილი მათემატიკოსის კ. მარჯანიშვილის სახელობის სტიპენდიატი კახაბერ კორძაია. მან და მისმა ამხანაგებმა უნდა განახორციელონ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი.

სადღესასწაულო დემონსტრაციის ესტაფეტას იღებს საქართველოს დედაქალაქის ყველაზე ახალგაზრდა — საბურთალოს რაიონი. დემონსტრანტთა შორის არის ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებული, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი, საბავშვო პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ლალი გუჯაბიძე. რესპუბლიკაში პირველად პატარების ამ ჯანმრთელობის კერაში დადგეს ელექტრონული გამომთვლელი მანქანა, რომელიც ეხმარება დიაგნოზის დასმაში, მკურნალობისა და კვების დანიშვნაში. აქვე აუწი, სადაც ჩვილებს ცურვას ასწავლიან.

ერთი სიტყვით, აქ ყველა პირობაა შექმნილი, რათა პატარები ლონიერები და ჯანმრთელები გაიზარდონ.

საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია მთავრდება. ტრიბუნების წინ მიდიან ფიზკულტურელთა, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა კოლონები. ერთ საეკვაო კომპოზიციას მეორე ცვლის.

მოედანზე გაისმის შეძახილები: „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — დიდება!“. დემონსტრაციის მონაწილენი ერთხმად გაიძახიან: „დიდება!“, „დიდება!“, „დიდება!“, ცხადყოფენ კომუნისტური პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, მშრომელთა მტკიცე გადაწყვეტილებას, პირნათლად შეასრულონ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი.

(საქინფორმი).

სურათებზე: სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია რესპუბლიკის მოედანზე.

ჯ. ლომაძის, თ. ნიკოლაიშვილის („კომუნისტი“), ო. თურქიას (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტო.

ალმშენებლობის ნაბიჯები

სოხუმი

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძალა, გამოავლენდა დაჩქარებასა და გარდაქმნაზე, ფართოდ იყო წარმოდგენილი აფხაზეთის დედაქალაქის მშრომელთა საოქტომბრო დემონსტრაციაზე. საფუძვლად დაუდეს რა იგი ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედის გეგმას, მრავალდარგოვანი სახალხო მეურნეობის შრომითმა კოლექტივებმა დაისახეს პროდუქციის მატების 85 პროცენტი უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდით.

მეგობრობისა და ძმობის ქალაქის სოხუმის მთავარ მოედანზე, რომელიც ლენინის სახელს ატარებს, სამშობლოსათვის საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში თავიანთი წარმატებების პატაკის ჩასაბარებლად გამოვიდა ყველა, ვინც აფხაზეთს უქმნის მშრომელი რესპუბლიკის სახელს.

მთავრობის ტრიბუნის წინ თავიანთი მიღწევებისათვის სიამაყის გრძნობით მიაბიჯებენ ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ათი თვის გეგმა. მნიშვნელოვანი ნობათით შეეგებნენ დიდი ოქტომბრის წლისთავს მწვანე პლანტაციების მშრომელები. აფხაზმა მეჩაიეებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის წლიური გეგმა. ჩაის ფაბრიკებში მიტანილია 102 ათას ტონაზე მეტი ნედლეული, დაგალებაზე 430 ტონით მეტი. მეჩაიეთა ესტაფეტის ახლა იღებენ მეციტრუსეები, რომლებმაც მოსკოველთა, ლენინგრადელთა, თბილისელთა, კიეველთა, მინსკელთა სადღესასწაულო სუფრის დასამშვენებლად უკვე გაგზავნეს პირველი 600 ტონა ბანანური და ლიმონი. და ყოველივე ამაში თავს იჩენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დაჩქარებული დანერგვა.

მუშებთან და კოლმეურნეებთან ერთად კოლონებში მიაბიჯებენ მეცნიერების, კულტურის, მომსახურების სფეროს მუშაკები, ქალაქ-კურორტის მრავალი სტუმარი, და ოქტომბერს უპატაკებენ თავიანთ საქმეებსა და გეგმებს.

მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციის მონაწილეებს ტრიბუნიდან მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

ბათუმი

სადღესასწაულოდაა მორთული სამგზის ორდენოსანი აჭარის დედაქალაქი — ბათუმი. ლენინის მოედანზე გაისმის რევოლუციური მარშის ჰანგები. ტრადიციისამებრ ოქტომბრის დემონსტრაციას ხსნის პარტიისა და კომკავშირის ვეტერანთა კოლონა, ადამიანები, რომლებთაც ამაყობს ავტონომიური რესპუბლიკა. მიწყდა თუ არა ტაში დიდებით მოსილი ბოლშევიკური და შრომითი გვარდიის პატივსაცემად, კვლავ გაისმა ოვაციები — ტრიბუნები მიესალმებიან ნორჩ ბათუმელებს. მათ კოლონებში მოჩანს ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილია „ფრიადზე სწავლა სამშობლოსადმი საუკეთესო სარეკვიემია“, „მშვიდობა და ბედნიერება მთელი მსოფლიოს ბავშვებს“, „დიე, მუდამ იყოს მზე“.

სადღესასწაულო მოედანზე შემოდის მშრომელი ბათუმი. მის კოლონებს სათავეში უდგას საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა შორის საქალაქო შეჯიბრების გამარჯვებული ქარხნის „ყოფშინქანის“ კოლექტივი.

შრომითი მიღწევების პატაკს აბარებს ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატის კოლექტივიც. საწარმო მთელ ავეჯს ხარისხის ნიშნით უშვებს.

პატაკს პატაკი ცვლის. მკვერმეტყველური მაჩვენებლები, რომლებიც აღემატებიან ციფრ „100“-ს, მოწმობენ სადღესასწაულო ვახტის დიდ შრომითს აღმავლობას, მუშური სიტყვის ერთგულებას, შრომითი კოლექტივების მისწრაფებას იარონ მოწინავე რიგში, იყვნენ გარდაქმნის შტურმანები. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მაგალითით. ბევრი გემი გადავიდა შემცირებული ეკიპაჟით მუშაობაზე. წლითიწლობით უმჯობესდება და ახლდება საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ფლოტი.

დემონსტრანტთა ახალ-ახალი კოლონები შემოდიან სადღესასწაულო მოედანზე. მიაბიჯებდნენ რა რევოლუციის წითელი დროშის ქვეშ, ისინი ადიდებდნენ სოციალისტურ სამშობლოს და გამოთქვამდნენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას, კვლავაც ურყევად იარონ პარტიის მიერ ნაჩვენები გზით.

ტრიბუნებიდან დემონსტრანტებს მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰ. ემირეძე, ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

ცხინვალი

თხუთმეტიოდე წლის წინათ სოფელ. როკის მცხოვრებლები შშობლიური ადგილებიდან მიდიოდნენ, ახლა კი აქ ჩამოდიან. მიდიოდნენ იმიტომ, რომ არ იყო გზები, არ იყო სისხლსავსე ცხოვრების პირობები. ახლა კი აქ გზებიც არის, ცხოვრებაც ჩქეფს.

როკის ბედი მაღალი მთის ჯავის რაიონის პრაქტიკულად ყველა სოფელმა გაიზიარა. ასეთი სწრაფი და სასიკეთო შემობრუნება მათს ცხოვრებაში მოხდა ტრანსკავკასიის ავტომგზისტრალის წყალობით. ნოემბერში, გთვალისწინებულ ვადაზე ერთი თვით ადრე, დამთავრდება მაგისტრალის გაყვანა — ასე გადაწყვიტეს შენებლებმა, მაგრამ ამ მოვლენამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ადგილობრივი მცხოვრებლები ნათლად დარწმუნდნენ, რომ დაიწყო მხარის აღორძინება. ამიტომ დიდი ოქტომბრის დღესასწაულის დროს სამხრეთ ოსეთში მგზისტრალის შენებლებს ესოდენ დიდ პატივს მიაგებენ.

ცხინვალის ცენტრალურ მოედანზე ტრიბუნების წინ შენებლებთან ერთად მიაბიჯებენ „ელექტროვიბრომანქანის“, „მინანქარსადენის“ ქარხნების, ოლქის მუბტქი მრეწველობის ფლაგმანის— ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკის, სამკერვალო ფაბრიკისა და სხვა საწარმოების კოლექტივები. მათთან ერთად მიაბიჯებენ მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. მოსწავლე ახალგაზრდობა.

დემონსტრანტთა კოლონებს ტრიბუნიდან მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი, ავტონომიური ოლქის სხვა ხელმძღვანელები.

ქუთაისი

ტრანსპარანტებითა და ალისფერი დროშებითაა მორთული ლენგენდარული დავეზიის მეთიერის ვასილ კიკვიძის სახელობის სოფელ. როკის მცხოვრებლები შშობლიური ადგილებიდან მიდიოდნენ, ახლა კი აქ ჩამოდიან. მიდიოდნენ იმიტომ, რომ არ იყო გზები, არ იყო სისხლსავსე ცხოვრების პირობები. ახლა კი აქ გზებიც არის, ცხოვრებაც ჩქეფს.

როკის ბედი მაღალი მთის ჯავის რაიონის პრაქტიკულად ყველა სოფელმა გაიზიარა. ასეთი სწრაფი და სასიკეთო შემობრუნება მათს ცხოვრებაში მოხდა ტრანსკავკასიის ავტომგზისტრალის წყალობით. ნოემბერში, გთვალისწინებულ ვადაზე ერთი თვით ადრე, დამთავრდება მაგისტრალის გაყვანა — ასე გადაწყვიტეს შენებლებმა, მაგრამ ამ მოვლენამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ადგილობრივი მცხოვრებლები ნათლად დარწმუნდნენ, რომ დაიწყო მხარის აღორძინება. ამიტომ დიდი ოქტომბრის დღესასწაულის დროს სამხრეთ ოსეთში მგზისტრალის შენებლებს ესოდენ დიდ პატივს მიაგებენ.

ცხინვალის ცენტრალურ მოედანზე ტრიბუნების წინ შენებლებთან ერთად მიაბიჯებენ „ელექტროვიბრომანქანის“, „მინანქარსადენის“ ქარხნების, ოლქის მუბტქი მრეწველობის ფლაგმანის— ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკის, სამკერვალო ფაბრიკისა და სხვა საწარმოების კოლექტივები. მათთან ერთად მიაბიჯებენ მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. მოსწავლე ახალგაზრდობა.

დემონსტრანტთა კოლონებს ტრიბუნიდან მიესალმნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ლორთქიფანიძე, ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები.

რუსთავი

ქალაქ რუსთავის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციის კოლონებში ალისფერ დროშებს შორის მოჩანს სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მიმდინარე ხუთწლედის დამდეგიდან ზედიზედ მესამედ ენიჭება ეს სპასტინი ჯილდო ცემენტის ქარხნის კოლექტივს.

უმცირესი დანახარჯებით უმეტესი სამოლოო შედეგისადმი რუსთავის საწარმოთა მშრომელების ერთიანი მისწრაფებით გამორჩეულად მეტალურგიული და ამწეთსაშენებელი ქარხნების, საწარმოო გაერთიანება „ქიმმოჭკოს“, ამიერკავკასიის „მეტალურგშენის“ ტრესტის, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ავტომატმრეწვის“ კოლექტივები. დიდი ოქტომბრის დღესასწაულს მათ მოუმზადეს მნიშვნელოვანი შრომითი ნობათი. ვადამდე შეასრულეს ათი თვის საგეგმო დავალებანი მებოჭკოეებმა ლ. ლაკაბიძემ, ა. გიგაურმა, მეცემენტემ ი. შანიძემ, ამწეთმშენებელმა ი. გრეგენიუმმა, ქალაქის სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების ათასობით მშრომელმა.

რუსთავის ეკონომიკის ინტენსიფიკაციის დაჩქარების კურსი განუხრელადაა დაკავშირებული სოციალურ-კულტურული მშენებლობის უპირატეს ტემპთანაც. ვადამდე დგება მწყობრში საცხოვრებელი შენობები და საბავშვო ბაღები, კეთილმოეწყობა ქუჩები და მოედნები, ეზოების ტერიტორიები.

რუსთავის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების შეწონასწორება ორგანულად უკავშირებს ერთმანეთს მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და იმ პოზიტიური ტენდენციების შემდგომ განმტკიცებას, რომლებიც მკაფიოდ შეინიშნება ოდესღაც ჩამოჩენილი შრომითი კოლექტივების მუშაობაში. ამის თვალსაჩინო დასტურია სახალხო მოხმარების საქონლის ნიმუშები — ხარისხოვანი, ლამაზი და იაფი საქონელი, რომელიც სადღესასწაულო დემონსტრაციის მონაწილეებმა ჩაატარეს ქალაქის მთავარ მოედანზე. ამ ნაწარმის, ისევე როგორც მეტწილ სახეობათა ძირითადი პროდუქციის გამოშვებით რუსთავის შრომითი კოლექტივების უმრავლესობა გადაჭარბებით ასრულებს სოციალისტურ ვალდებულებებსა და სახელმწიფო გეგმებს.

(საქინფორმი).

დღევანდელობის მოთხოვნათა შესაბამისად

იმაზე, თუ რამდენად ზუსტად უზრუნველყოფენ მოქმედი კანონმდებლობის დაცვას სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები და იურისკონსულტები, დიდად არის დამოკიდებული დაჩქარების სტრატეგიის პრაქტიკული განხორციელება. ეს აღნიშნეს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი კურსების მიერ მოწყობილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებმა. ეს კონფერენცია მიეძღვნა თემას „ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სოციალისტური ცხოვრების წესისათვის **ისეთი** მეთოდებელი წინსვლის ხელშემშლელი მოვლენა, როგორიც არის უშრომელი შემოსავლის მიღება, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი დისციპლინისა და კონტროლის შესუსტების შედეგია, ამასთან დაკავშირებით იურისტთა წინაშე ორი ერთარსი ამოცანა დგას. ერთი მხრივ, მათ მიზანმიმართულად უნდა მიიღონ მონაწილეობა პარტიის მიერ წამოყენებული უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში — მისი პოლიტიკის იდეოლოგიური უზრუნველყოფის გაკეთილრეშაში. მეორე მხრივ, ისინი მოვალენი არიან ამხილონ არა მარტო წამგლეჯები, მომხვეჭელები, მექრთამეები, რომლებმაც უკვე ჩაიდინეს დანაშაული, არამედ მკაცრად დაიცვან დადგენილი ნორმები და წესები, გასაკანი არ მისცენ ხელმრუდ ადამიანებს, ხელი შეუწყონ სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას.

სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის საახელმწიფო პრემიის ლაურეატები

დიდ ჯილდოს გილოცავთ, მეგობრებო!

სსკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს მიხეილ მიხეილის ძე **ხანანაშვილს** აკადემიკოს გ. ნ. კრიჟანოვსკისთან ერთად ნაშრომთა ციკლისათვის — „ადამიანის უმაღლესი ნერვული მოქმედების დარღვევების და ნეიროპათოლოგიური სინდრომების პრინციპულად ახალი მოდელები“ — მიენიჭა 1986 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში.

— ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელები, — გვითხრა მეცნიერმა, — საშუალებას გვაძლევს გავიფართოოთ ცოდნა სხვადასხვა ნერვულ-ფსიქიურ დაავადებათა მიზეზებისა და პათოგენეზის სფეროში და ახლებურად მივუდგეთ მათს პროფილაქტიკასა და მკურნალობას. სწორედ ამიტომ სამუშაოთა ამ ციკლს დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა ინსტიტუტის კავშირურთიერთობა გამოყენებითი პროფილის დაწესებულებებთან, რამაც ხელი შეუწყო კლინიკებში სხვადასხვა ნერვული თუ ფსიქიური დაავადების მკურნალობისა და პროფილაქტიკის შესახებ ჩვენი მეცნიერების რეკომენდაციების დანერგვას. ნაშრომი, რომლისთვისაც სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მოგვენიჭა, ინსტიტუტის საქმიანობის ამ მხარის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია.

დიდი ჯილდო მეც და ჩემს კოლეგებსაც გვავალდებულებს ძალ-ღონე არ დავიშუროთ, რათა გავზარდოთ ჩვენი წელილი თანამედროვე მეცნიერულ მიმართულებათა განვითარებაში, კიდევ უფრო ვამრავლოთ ქართველ ფიზიოლოგთა სასახელო ტრადიციები.

• • •

სასიხარულოა, რომ ანალოგიური პრემიები ტექნიკის დარგში ავტორთა ჯგუფთან ერთად მიენიჭათ ჭვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში მომუშავე ჩვენს თანამემამულეებს: სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ა. ნ. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ლეონიდე ანტონის ძე **ბოკერიას**, იმავე ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ვლადიმერ ვლადიმერის ხე **ალექსი-მესხიშვილს**, ამ სამეცნიერო დაწესებულების უფროს მეცნიერ მუშაკს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს ამირან შოთას ძე **რევიშვილს** და ლენინგრადის საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივ ნაგებობათა ტიპური და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტის განყოფილების გამგეს გიორგი გიორგის ძე **ზედგინიძეს**.

დიდ ჯილდოს გილოცავთ, მეგობრებო!

სურათზე: მ. ხანანაშვილი.

ახალი სკოლა —სოფელს

ფითელწყარო. (საკ. კორ.). სოფელ არბომიკის მცხოვრებლებმა სანოემბროდ ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. სულ ახლახან საეკსპლოატაციოდ გადაეცა საშუალო სკოლის ახალი შენობა. სკოლას აქვს ფართო და ნათელი საკლასო ოთახები, სპორტდარბაზი, კვების ბლოკი, თანამედროვე მოწყობილობებით აღჭურვილი სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები.

ამ საჩუქარს მოსწავლეები და მასწავლებლები „საქბგორმშენის“ მე-15 მოძრავ-მექანიზებული კოლონის კოლექტივს (უფროსი — გ. ხუციშვილი) უმადლიან, რომელმაც მშენებლობა ვადაზე ერთი წლით ადრე დაამთავრა.

სატურნირო ორბიტა

კალათბურთი. კაუნასის „ჟალგირისის“ ვაჟთა გუნდი ითამაშებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გთამაშების ფინალურ ექვსეულში. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, როცა „ჟალგირისმა“ საწყისი ეტაპის განმეორებითი მატჩი მოიგო თურქეთის „გალათასარაის“ — 95: 72. კაუნასელებმა პირველი შეხვედრაც მოიგეს — 87:70.

სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრებმა მორიგი შეხვედრა გამართა კაშ ქალაქ ოკლაჰომა-სიტში ადგილობრივი უნივერსიტეტის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით — 102:74.

ფეხბურთი. წოლისყრის შედეგად გაირკვა, რომ უეფას თასის გათამაშების მერვედფინალში მოსკოვის „სპარტაკის“ მეტოქე იქნება ავსტრიის გუნდი „სვაროვსკი-ვაკერი“. პირველ შეხვედრას „სპარტაკი“ გამართავს 26 ნოემბერს საკუთარ მოედანზე. განმეორებითს — 10 დეკემბერს.

როგორც უეფას წარმომადგენელმა განაცხადა, სამივე ევროპული ტურნირის მეოთხედფინალური შეხვედრების წოლისყრა გაიმართება 12 დეკემბერს.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

დ. ნ. ციციშვილი



ქართველ ხელოვანთა რიგებს გამოაკლდა ქართული დეკორატიული ხელოვნების დიდი მოამაგე, მხატვართა არაერთი თაობის აღმზრდელი და გულისხმიერი მეგობარი, საქართველოს სახალხო მხატვარი, პროფესორი დავით ნიკოლოზის ძე **ციციშვილი**.

დ. ნ. ციციშვილი დაიბადა 1901 წელს სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.

1919 წელს, თბილისის ვაჟთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, შეეიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ განყოფილებაზე.

1926 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მთავარი მხატვრის თანამდებობაზე და წარმოებას მოუწყვეტლივ შედის თბილისის სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1931 წელს.

დ. ციციშვილი ქართულ სახვითს ხელოვნებაში თავისი ძალზე მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობით გამოირჩევა. მისი ინტერესების სფეროში იმთავითვე მოექცა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ხალხური და ხელსაქმური ხელოვნების დარგები, მათი განვითარების ისტორია, ტექნიკური ხერხების საიდუმლოები.

1939 წელს მას, როგორც დეკორატიული ხელოვნების ერთადერთ სპეციალისტს, დაეკალა სამხატვრო აკადემიის კერამიკის ფაკულტეტზე წაეკითხა ზოგადი კომპოზიციის საფუძვლების კურსი. გამოყენებითი ხელოვნების ახალი ფაკულტეტის გახსნასთან დაკავშირებით საჭირო გახდა შესაფერისი პედაგოგიური კადრები, რომელთა აღზრდის საქმეს სათავეში ჩაუდგა დ. ციციშვილი.

პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა, დ. ციციშვილი ეწეოდა ნაყოფიერ კვლევითს საქმიანობასაც. ეძიებდა დღეს უკვე მივიწყებული ხელოვნების ტიპრული ოსტატობისა და ხერხების საიდუმლოებებს. 1947 წელს მან აღადგინა ძველი ქართული ტიხრული მინანქრის ტექნიკა, 1970 წელს კი ინკრუსტირებული მინანქრის ტექნიკა. მუშაობდა დაჩითის სხვადასხვა ხალხური ხერხების აღდგენაზე, ბუნებრივი საღებავების სრულყოფილი ხელოვნური საღებავით მეცვლაზე.

აღსანიშნავია დ. ციციშვილის მუშაობა გრაფიკის დარგშიც. მისი დასურათებული სხვადასხვა გამოცემანი, შექმნილი აქვს საინტერესო ექსლიბრისები. მონაწილეობა მიუღია ბევრ რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენაში.

დ. ნ. ციციშვილის ნაყოფიერი და მრავალმხრივი მუშაობა სათანადოდ დაფასა მთავრობამ. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მრავალი მედლით.

ნათელი პიროვნების, შემოქმედისა და აღმზრდელის სახელი სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველო, საქართველოს მხატვართა კავშირი.

გაზეთ „კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 11 ნოემბერს.

რედაქტორის მოადგილე დ. იოსელიანი.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 10 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — საფეხბურთო მიმოხილვა (განმეორებით). 10.10 მოამბე. 10.45 — დოკუმენტური ფილმი „სკოლა — ჟამი ცვლილებისა“. 11.40 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ხეიპარი“. 12.15 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შეც ერთი მათგანი“. 12.45 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 13.15 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15—მოსწავლეთათვის რუსული ენა. 16.45—საქართველოს ისტორია. 17.25—„სპუტნიკის“ მარშრუტებით. საერთაშორისო ფესტივალი ბერლინში. (განმეორებით). 18.25 — მოსწავლეთათვის ვისაუბროთ ეკონომიკაზე“. 18.50 — „ნამდვილად სახალხო“ (ეძღვნება საბჭოთა მილიციის 69 წლისთავს). 19.30 — „საბჭოთა მილიციის დღე“. (გადაცემაში მონაწილეობს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, ამხანაგი ა. ვლასოვი. (მ.) 20.30 — მოამბე. 21.05 — სატელევიზიო ნარკვევი „თოლიებს ზღვისკენ მიეჩქარებიან“. 21.20 — სპორტული გადაცემა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ერთგულება ანუ გულახდილი დიალოგები“. 22.50 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოპერაცია „ტრესტი“ I სერია.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს“. I და II სერია.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 11 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.20 —საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მივვარს ეს მიწა“. 10.50 — დავაჭქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი (განმორებით). 11.10 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სასაცილოდ — სატკივარიც“. 11.50 — „თეატრალური ფოსტა“ (განმეორებით). 13.00 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 15.55 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.05 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.35 — ალ. მაჭავარიანის მეოთხე სიმფონია (მ.). 17.20 — დოკუმენტური ფილმი „არქტიკა“. 17.30 — მოსწავლეთათვის. გილოცავთ! (საბავშვო კინოსტუდია „პიონერფილმი“ განმეორებით). 18.00 — „თეატრალური აფიშა“. 18.20 — „ქართული მულტიპლიკაციური კინო-50“. ნახატი ფილმი „თეთრი ღამეები“. 18.45 — „საუნჯე“ — ვარძია (გადაცემა მეოთხე). 19.25 — „საბჭოური ცხოვრების წესი“. „ეაჭრეთველები“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 მოამბე. 20.35 — „ტელეფილმი დღეს და ხვალ“ (საბჭოთა და უნგრელ კინემატოგრაფისტთა სიმპოზიუმი). 21.10 — ახალგაზრდობისათვის. „ცხოვრება კაცისა“ (ალექსანდრე წულუკიძის დაბადების 110 წლისთავის გამო). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ჩვენი საუკუნე გიიავს უახლესი“. 22.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოპერაცია „ტრესტი“ II სერია.

მეორე პროგრამა. 16.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ზე შემოდგომისა“. 18.00 — დოკუმენტური ფილმი „თავადარ გზასთან“. 18.10. — მოსწავლეთათვის. გეოგრაფია.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 12 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.20 — მხატვრული ფილმი „განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს“. I სერია. 11.30 — „საესტრადო პანორამა“ (განმეორებით). 12.25 — მასწავლებლის საათი. ბუნების დაცვა. 12.55 — ხალხური შემოქმედება. „ეაჟას მზე“ (განმეორებით). 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 16.35 — ალ. მაჭავარიანის მეოთხე სიმფონია (მ.). 17.20 — დოკუმენტური ფილმი „არქტიკა“. 17.30 — მოსწავლეთათვის. გილოცავთ!“ (საბავშვო კინოსტუდია „პიონერფილმი“ განმეორებით). 18.00 — „თეატრალური აფიშა“. 18.20 — „ქართული მულტიპლიკაციური კინო-50“. ნახატი ფილმი „თეთრი ღამეები“. 18.45 — „საუნჯე“ — ვარძია (გადაცემა მეოთხე). 19.25 — „საბჭოური ცხოვრების წესი“. „ეაჭრეთველები“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 მოამბე. 20.35 — „ტელეფილმი დღეს და ხვალ“ (საბჭოთა და უნგრელ კინემატოგრაფისტთა სიმპოზიუმი). 21.10 — ახალგაზრდობისათვის. „ცხოვრება კაცისა“ (ალექსანდრე წულუკიძის დაბადების 110 წლისთავის გამო). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ჩვენი საუკუნე გიიავს უახლესი“. 22.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოპერაცია „ტრესტი“ II სერია.

მეორე პროგრამა. 16.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ზე შემოდგომისა“. 18.00 — დოკუმენტური ფილმი „თავადარ გზასთან“. 18.10. — მოსწავლეთათვის. ბიოლოგია.

ᲠᲝᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 13 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — მხატვრული ფილმი „განსაკუთრებული ნიშნები არა აქვს“ II სერია. 11.25 — „შემოქმედებითი პორტრეტები“. ვერა წიგნაძე (განმეორებით). 12.55 — მასწავლებლის საათი. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 13.25 — საინფორმაციო გამოშვება. 13.40 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეკურსი სელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლატვია ფრენის სიმაღლიდან“. 17.20 — „ქართული მულტიპლიკაციური კინო-50“. ნახატი ფილმი „ნარცისი“. 17.45 — ქართული დოკუმენტური ფილმი „არავინაა უცხო ადამიანთა შორის“. 17.55 — კონცერტი. 18.35 — ახალგაზრდობისათვის. „ვკითხულობთ ილიას“ (ი. ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის). 19.15— „შშვიდობის პროგრამა მოქმედებს“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ). 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოპერაცია „ტრესტი“ IV სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „მომდევრლის გახსენება“. პეტრე ამირანაშვილი. 23.50 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.35 — — დოკუმენტური ფილმი „ნამდვილი გვარი დაუდგენელია“. 16.55 — მოსწავლეთათვის. ბიგიენა და ჯანმრთელობა. 17.40 — დოკუმენტური ფილმი „კამილო“. 18.00 — მოსწავლეთათვის. სსრ კავშირის ისტორია.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.20 — საბჭოური ცხოვრების წესი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფეკელდუნი“. 10.30 — დოკუმენტური ფილმი „ძველი ქალაქის ცხოვრება“. 10.50 — „მსოფლიო და ახალგაზრდობა (მ.). 11.25 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — ფაზილ ისკანდერი (განმეორებით). 12.20 — დოკუმენტური ფილმები „ბილიკი გზად იქცევა“ და „ახალი ადამები ცხოვრებაში“. 13.00 ფიზიკის ტელეკურსი. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — მასწავლებლის საათი. დაწყებითი განათლება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შევისწავლოთ ფრანგული